№3 (24) მარტი, 2002 ფასი 1 ლარი

სპორტიელი

სპორტული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



3 ბაჩო სვანიძე
დუქინით დუქინი

6 ბაჩო სვანიძე
დამირეკე ტელეფონო: თოთხმეტი ლელო თხუთმეტ ტიტას

8 ჰაპუნა კედია
1978 1982 1986

16 **ატმოცნობები**

18 სოლომონ გულისაშვილი
შავი და თეთრი მოედანზე გამოჩნდება?

20 კოტა ინასარიძე
ბოლმა გადმოანთხიეს... მიწა დააყარეს... თავზე წამოასხდნენ...

20 **ლომთა მეფობა**

21 ავთანდილ გურასაშვილი
რუსთა სკანდალების ოლიმპიადა

23 ავთანდილ გურასაშვილი
ოლეე კოპ!

24 **კვარცხლბეკი**

26 ავთანდილ გურასაშვილი
ოქრო-ვერცხლის კოლექციონერები

14-15 გვერდი. როი კინი ირლანდია „მანჩესტერ იუნაიტედი“. REUTERS
I საქართველო — რუსეთი. უტევს ილია ზედგინიძე. *ბადრი კეთილაძე*
II საქართველო — რუსეთი. აუტს იგებს ვანო ნადირაძე. *ბადრი კეთილაძე*
III მაქსიმ სტავიცკი და ალბენა დენკოვა (ბულგარეთი). REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან
IV კანადის ჰოკეისტთა ოლიმპიური ნაკრები. REUTERS

ბადრი კეთილაძე

რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულისაშვილი
ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაველიძე
სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი
ოპერატორი ირინა გოგოლაშვილი

მრჩეველთა საბჭო:
ვახტანგ ბზიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

ვაზეთ სარბიელის დაფუძნება

რეკლამა ჟურნალ «სარბიელში» — 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტა ახალაძე

დუქინით დუქინი

ამბავი იმისა თუ როგორ გაეყარნენ ქართველები დათვებს

ბაჩო სვანიძე

ეროვნულზე ზეიმი არ შედგა. საქართველოს ნაკრებმა რუსეთთან ფრე ითამაშა და ამით გვარიანად დაწყვიტა გული სტადიონზე მისულ 70 000-მდე ქომაგს. მე პირადად არც კი მახსოვს ბოლოს როდის მივიდა ამდენი ქომაგი რაგინდარა გუნდის საგულშემატკივროდ. თუ არ ვცდები შვიდი წლის წინ საქართველო-გერმანია საფეხბურთო მატჩის შემდეგ ეროვნულს ქომაგთა ამხელა არმია არ მოსწყდომია. ხალხს გულით ეწადა რუსული „დათვების" დამარცხება. ხალხისა გასაგებია, ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე ეროვნულზე შეეძლოთ გულის მოფხანა. სტადიონზე უბრალო მოკვდავთ გვერდით მთელ პოლიტ-ელიტას მოეყარა თავი, ჯვრიანი და შინდისფერი დროშა ერთმანეთში ირეოდა, იყო მხურვალე გულშემატკივრობა, და ერთობ ლაზათიანი რაგბი. ერთი ეგ არის ჩვენმა ნაქებმა ბორჯღალოსნებმა ვერაფრით შეძლეს „დათვების" ბეგებზე გაკვრა, თუმც, საამისოდ არც ცდა დაუკლიათ და არც თავი დაუზოგავთ, რა ვქნათ თუ ეს სპორტია და არა ჩინოვნიკთა კაბინეტები, სადაც სხვაგვარად წყდება ამა თუ იმ საკითხის ბედი. მერე რა რომ ჩვენებურებმა ფრე ითამაშეს? სატურნირო თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა და

ბადრი ჯიბილაძე

შოთა მოდებაძეს სანუკვარ ლელობდე სულ რაღაც მეტრი დააკლდა

თბილისი. 3 მარტი. ეროვნული.
ევროპის ერთა თასი. II ტური
საქართველო 12:12 რუსეთი

საქართველო: ხამაშურიძე, ხეხელაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე (ალანია), ბეგიანიშვილი (იოვაძე), ჯიმშელაძე, აბუსერიძე (მოდებაძე); შველიძე (მთიულიშვილი), გიორგაძე, ცაბაძე (კაპ), ნადირაძე, რატიანიძე (დიდებულიძე), ბოლღაშვილი (მჭედლიშვილი), ლაბაძე, ზედგინიძე

4ს: ჯიმშელაძე;

რუსეთი: დიმჩენკო, სიმონოვი, კარაბეინიკოვი, ბრეიტენბახი, კუზინი, რაჩკოვი, ბუდნიკოვი; შუკაილოვი (ბილბოვი), რომაკი (ჰენდრიქსი), ტრავკინი (ნოლაიჩუკი), ფედჩენკო, სერგეევი, ფოლსხეკენი, გრაჩოვი (კაპ), ზიკოვი

4ს: სიმონოვი (3), რაჩკოვი;

მსაჯი: მაურო დორდოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამწყვეტი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის. ბოლოსდაბოლოს შარშანდელი და წლევანდელი ევროპის ერთა თასების ჯგუფში ბორჯღალოსნებმა აგერ უკვე მერვე მატჩია წაგების გემო არ იციან. და კიდევ, რუსეთის ნაკრებს არც მოედნის უქონლობა აწუხებს და არც შეკრების. ყოველწლიურად ორ მილიონ დოლარს (!) მარტო ერთი ფირმა გამოდის „დათვების" დასალხენად, ჩვენ კი...

ის რაც ზემოთ ვთქვით ყველაფერი ემოციური რაკა-რუკი იყო. და როგორ უნდა შეფასდეს თამაში რაგბულად? როგორ და რაც არ უნდა თავი ვიტყუოთ, ჩვენი მორაგბეები ზომაზე მეტს ნერვიულობდნენ, თავიდანვე ერთობ ამჩატდნენ და ბლომად ბურთებიც კარგეს. ჩვენს დერეფანში ხომ ვაბატონეთ რუსეთი და ვერც ხელდახელ ბურთაობა გამოვავიდა. შარშანდელს აქეთ გვარიანად მოძლიერებულან მეზობლები, ზედ სამი სამხრეთ აფრიკელი დაუმატებიათ და აკი მთელი პირველი ტაიმი შეტევებში გალიეს. მართალია თავიდან პალიკო ჯიმშელაძემ დაგვაწინაურა, მაგრამ რუსებმა ორი გაგვიტანეს და რომ არა ისევ ჯიმშელაძე ტაიმსაც წავაგებდით. მეორე ნახევარში სულ სხვა საქართველო გამოიყვანა კლოდ სორელმა. ჩვენი მორაგბეები ერთი-მეორის მიყოლებით ჭრიდნენ რუსთა დაცვას, მაგრამ როგორც კი მეტოქის ლელოს მიუახლოვდნენ ისევ — ვაი! ასე გაგრძელდა მატჩის ბოლომდე, სორელის სამწყსომ ბლომად მომენტები ანიავა, რუსები კი ყველა შესაძლებლობისა კარში ურტყამდნენ. ბურთი ჩვენი, გოლები თქვენი,— ასეთი პრინციპით საქართველოს ნაკრები მსაჯის წამატებულ დროში 9:12-ს აგებდა, მაგრამ ჯიმშელაძემ გაათანაბრა და კიდევ შეეძლო გამარჯვებისა გაეტანა, თუმცა...

ახლა მთავარია ესპანეთში მოვიგოთ, იმავე დროს რუსეთ-რუმინეთის მატჩის ფრე ან კარპატელთა გამარჯვება გვაწყობს თავი მეორე ადგილზე რომ დავიგულოთ და მსოფლიო თასისკენ მიმავალ უმოკლეს გზას დავადგეთ.

აქვსენტი გიორგაძეს „დათვებმა" ლელოსკენ გზა გადაუკეტეს

დავით ბოლოაშვილმა და თედო ზიბზიბაძემ რუსებს ბურთი არ დაანებეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ხამაშურიძე შეგოჭეს

ვიმ ახალაძე

გუჯა იოვაძე მეტოქისგან დასხლტომას ცდილობს

პაატა ძმელაძე

3 მარტს, ეროვნულ სტადიონზე, მზე, ხალხი, დაძაბულობა და ასეთი მომენტები უხვად იყო

ვიმ ახალაძე

პაატა ძმელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამირეკე ტელეფონი:

თოთხმეტი ლელო თხუთმეტ ტიტას

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური.
3 თებერვალი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 15 საათი
საქართველო 88:0 ჰოლანდია

საქართველო: ხამაშურიძე (ხეხელაშვილი 63), ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე (ელოშვილი 72), ალანია (იოვაძე 59), მაჩხანელი, ჯიმშელაძე, მოდებაძე; მთიულიშვილი (ჯაველიძე 68), შველიძე (გიორგაძე 48), ცაბაძე (კაპ), დიდებულიძე, ნადირაძე (მჭედლიშვილი 53), ბოლაშვილი (უდესიანი 68), ჩხაიძე, ზედგინიძე

14ლ: ურჯუკაშვილი (8), ჯგუფური (12), მოდებაძე (2) (21, 40), ზედგინიძე (25), ცაბაძე (42), შველიძე (47), ზიბზიბაძე (49), გიორგაძე (52), ხამაშურიძე (2) (58, 62), ხეხელაშვილი (67), ელოშვილი (76), მაჩხანელი (80); **9გ:** ჯიმშელაძე (21, 25, 40, 47, 52, 58, 62, 72, 80)

ჰოლანდია: ბრაინბერხი, მეიკი, ფანდერ ვალე, ბეკერსი (ვოლფი 53), ლიპსი, მილერი, ხრადერი; ბეილი, ფაიტმა (პაიუპე 36), ბოი (ფანზუნდერტი (53), ფან ჰიირდენი, შუმახერი (კაპ), კაიპერსი (მასტი 53), სპრინგერი, ფერსტეინენი

მსაჯები: ტომაშ ტუმა, დავიდ ფრიდრიხი, ირჟი შტუბსა (ჩეხეთი)

მეთვალყურე: ვიაჩესლავ კალიტენკო (უკრაინა)

ლევან ცაბაძემ ჰოლანდიელებს რაგბის გაკვეთილი ჩაუტარა

ფოტო: ოლეგ ოგანეზოვი

ბაჩო სვანიძე

რას იზამ, თუ ბებერ კონტინენტზე რაგბის გაგანია სეზონი ზამთარში დგება. მსოფლიო რაგბის მამები ჩვენნაირ განვითარებად ქვეყნებს საკუთარ წესებს ჯერაც უკარნახებენ და აგერ უკვე მესამე წელია, საქართველოს ნაკრები ევროპის ერთა თასზე ასპარეზობას სუსხიან თებერვალში იწყებს.

3 თებერვალს ეროვნულზე 2001 წლის ერთა თასის მფლობელმა ბორჯღალოსნებმა წლევანდელი ტურნირის პირველ ტურში ჰოლანდიას უმასპინძლეს.

მას აქეთ, რაც შარშან ქართველებმა ამსტერდამში „ტიტები“ გადათელეს (41:6), ჰოლანდიელებმა გვარიანად იცვალეს სახე. ნიდერლანდის სამეფოს რჩეულ მორაგბეებს მწვრთნელად ირლანდიელი რობი ალენი დაუნიშნეს. ნაკრებში ახალი სახელებიც გამოჩნდა, თუმცა, ერთი შეხედვით, „ტიტებს“ ამან უფრო ავნო ვიდრე ახეირა. ყოველ შემთხვევაში 3 თებერვალს ასე ჩანდა.

საქართველომ ჰოლანდიას ყველაფერში აჯობა: ბორჯღალოსნები ლაღად დანავარდობდნენ მეტოქის დაცვის ხაზზე, სისწრაფეშიც დაჯაბნეს და ორთაბრძოლებშიც. „ტიტებს“ დიდოსტატურად ბოჭავდნენ, მოლით აწვებოდნენ და მათს შერკინებას აქეთ-იქით ათრევდნენ. მთავარი კი მაინც ბორჯღალოსანთა ეშხიანი, თანამედროვედ, ხელდახელ გაშლილი ბურთაობა გახლდათ. კლოდ სორელის სამწყსომ ლელოების სეტყვა დაატეხა თავს „ტიტებს“ და თავისი ახალი რეკორდი დაამყარა: აქამდე ქართველ მორაგბეებს 44 მატჩიან მატიანეში ერთ მატჩში 88 ქულა, 14 ლელო და 9 გარდასახვა არასდროს დაუგროვებიათ. სანამ ჰოლანდიელებს 88:0 გაანადგურებდნენ, ბორჯღალოსნებმა სარეკორდოდ 1995 წელს სოფიაში იმარჯვეს: მასპინძელი ქვეყნის, ბულგარეთის გუნდი 62 ქულის სხვაობით დაამარცხეს — 70:8.

მოგება მოგებად და, 3 თებერვალს რეკორდის გარდა ჩვენთვის სხვა გამოსარჩევი ამბავიც მოხდა. მუსიე კლოდმა ჯერ კიდევ შარშანწინ დაიწყო ნაკრების გადახალისება და „ბებრების“ გვერდით ჯეელებსაც ანდობდა ადგილს. ფრანგმა მოძღვარმა არც ჰოლანდიელებთან უღალატა თავის შეხედულებებს და სამი ახალბედას დებიუტიც მოეწყო: ირაკლი მაჩხანელმა, გიორგი ჩხაიძემ, ოთარ ელოშვილმა პირველად გააოფლიანეს ნაკრების მაისურა და ამით საქართველოს ეროვნული გუნდის 13-წლიანი არსებობის მანძილზე ბორჯღალოსანთა რიცხვი 118-მდე გაიზარდა.

ნამატჩევს აღგზნებული გულშემატკივარი მოედანს შეესია. ხალხი და მორაგბეები

ილო ზედგენიძემ (ბურთით) ჰოლანდიელებს მეხუთე ლელო გაუტანა

ფოტო: ოლეგ ოგანეზოვი

ბადრი ჯეთილაძე

ირაკლი მაჩხანელმა თავისი დებიუტი ლელოთი აღნიშნა

ერთმანეთში აირივნენ, პოლიციას კი ბარე ოცმეტრიანი ცოცხალი დერეფნის მოწყობა დასჭირდა, მწვრთნელი და მორაგბეები გასახდელში რომ ჩასულიყვნენ...

— ვინმეს ჩემი მობილური ტელეფონი ხომ არ გინახავთ? — იკითხა კლოდ სორელმა, როდესაც თავისი „მობილი" ქურთუკის ჯიბეში ვერ იპოვნა. უარის ნიშნად ყველა დუმდა. როგორც ჩანს, მავანი მარტო მისალოცად არ ჩასულა მოედანზე. ვიღაც ხელმრუდმა იმ კაცის ჯიბეშიც ჩაყო ხელი, ვისი გამოისობითაც სულ რაღაც წუთის წინ თავი ქართველად იგრძნო, ვისი დიდი დამსახურებითაც ჩვენი გაუბედურებული ქვეყნის გატანჯული ხალხი ფეხზე იდგა და ამაყად ყვიროდა: წინ, საქართველო!

ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებული შოთა მოდებაძე (ბურთით) თავისიანებს ორი ლელოთი შეეწია

ბადრი ჯეთილაძე

ფეხვეიდრა წარსულთან

ჰოლანდიელებთან წავარჯიშების შემდეგ ბორჯღალოსნები ლისაბონს ესტუმრნენ და იქაურ ნაკრებს „ნასიონალზე" ეთამაშნენ. პორტუგალიისა და საქართველოს მორაგბეები ეროვნული ნაკრებების დონეზე მანამდე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველად პორტუგალიელებმა იმარჯვეს (1997 წელს ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე — 21:17), მეორედ ისევ უნივერსიტეტის სარბიელზე ბორჯღალოსნებმა დასცეს მეტოქე (32:30), მერე კი თბილისში ეროვნულ სტადიონზე (36:12) დაამარცხეს უცხოელი სტუმრები.

საქართველოს ნაკრები მატჩამდე ორი დღით ადრე ჩავიდა ლისაბონში. მწვრთნელი ლეგიონერები ნაწილ-ნაწილ მოგროვდნენ სპორტო ქალაქში. მოკლედ, შეიკრიბნენ და ვერც შეიკრიბნენ. ხერირანად წავარჯიშებაც არ დასცალდათ. თანაც სასტუმროში არ იყო აუზი, ტრენაჟორები და კიდევ რაღაც-რაღაცები, მაგრამ არავის დაუჩივლია — მოილაპარაკეს, ერთმანეთი გაამხნევეს და საბრძოლველად მოემზადნენ.

ბრძოლა კი მართლაც ფიცხელი გამოდგა. მასპინძლებმა თავიდანვე მაგრად შეუტიეს და უკვე დებიუტშივე 12:0 დაწინაურდნენ. ამას ბორჯღალოსნები არ ელოდნენ — ერთა თასის ბოლო ორ გათამაშებაში საქართველოს ნაკრები ხომ ამხელა სხვაობით პირველად აგებდა, პირიქით კი ხშირად მომხდარა. ერთი სიტყვით, დაიბნენ და თან არ დაიბნენ. სორელის ბიჭები ქაოსურად უტევდნენ, ისე, ხუთი-ექვსი წლის წინათ რომ იცოდნენ. მათი მოძღვარი კი ჩუმად იჯდა, ესე იგი ფიქრობდა. ფიქრობდა და... მეორე ტაიმში სულ სხვა გუნდი გამოვიდა სარბიელზე. ბორჯღალოსნებმა ხელდახელ იმგვარად ირაგბეს, რომ პორტუგალიელებს მალევე დააყრევინეს ფარ-ხმალი. ჩვენმა მორკინლებმაც ლევან ცაბაძის თამადობით ბებერი ხარის რქებივით დახნეს მოედანი. შერკინების ტვინმა აქსენტი გიორგაძემ ორი საუცხოო ლელო გაიტანა. ასე „ამოქაჩეს" ნაქებმა ბორჯღალოსნებმა თორმეტქულიანი ჩამორჩენა და მატჩის მიწურულს თავად დაწინაურდნენ 27:23. მაგრამ ბოლოს ჩვენი გამარჯვება ბეწვზე ეკიდა, ბოლოს ფრანგმა მსაჯმა პრიუვომ ორი მორკინალი — მამუკა მაგრაქველიძე და ტარიელ რატიანიძე ათ-ათი წუთით გააძევა და 13 კაცით დაგვტოვა. თუმცა, სორელის სამწყსო ერთ კედლად აღიმართა და პორტუგალიელი „ლობოსები" (ლომები) კი არა, ბარე რუსული ტანკიც ვერ გაარღვევდა ქართველთა ბარიკადებს.

ევროპის ერთა თასი. მეღრე ტური.

16 თებერვალი. ლისაბონი. ნასიონალი.

პორტუგალია 23:27 საქართველო

პორტუგალია: ჰოფმანი (კაპ), გარვაო, პორტელა, სოუზა, აგილერა, ტორნი, პისარა; კორდეირუ (კაშტრუ), ფონსეკა (სილვა), ბრანკო, ნუნიეში, დე ორეი, კუნია, ვარეირუ, გონსალვეში

3ლ: გონსალვეში, ვარეირუ, აგილარი; 1გ: ჰოფმანი; 2ს: ჰოფმანი

საქართველო: ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე (ალანია), ხეხელაშვილი, ჯიმშელაძე, აბუსერიძე (მოდებაძე); მთიულიშვილი, გიორგაძე, ცაბაძე (კაპ), ნადირაძე (მაგრაქველიძე), დიდებულიძე (რატიანიძე), ბოლღაშვილი, ლაბაძე, მჭედლიშვილი

4ლ: ხეხელაშვილი, ურჯუკაშვილი, გიორგაძე (2); 2გ: ჯიმშელაძე; 1ს: ურჯუკაშვილი

გაფრთხილება: მაგრაქველიძე, რატიანიძე;

მსაჯი: პრიუვო (საფრანგეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1978

პაპუნა კედია

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელზე ამდენი არასდროს უკამათიათ. საფეხბურთო სამყარო მსჯელობდა, კამათობდა და ვერ გაერკვია, როგორ მოქცეულიყო — ჩასულიყო არგენტინაში ბურთის გასაგორებლად თუ პროტესტი გამოეხატა გენერალ ვიდელას ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ. როგორ დასრულდა ეს კამათი, ცნობილია: არგენტინაში მსოფლიოს პირველობა ჩატარდა და, თუ ვინმე შინ დარჩა, მხოლოდ იმიტომ, რომ შესარჩევი შეჯიბრება ვერ გადალახა. ასეთები იყვნენ ინგლისი, იუგოსლავია და საბჭოთა კავშირი. სამაგიეროდ თორმეტი წლის შემდეგ მსოფლიოს პირველობას დაუბრუნდა საფრანგეთი და გამოჩნდნენ დებიუტანტები — ირანი და ტუნისი.

რაკი საფრანგეთი ვახსენეთ — მიშელ იდალგოს ხელმძღვანელობით ამ ლამაზად მოთამაშე გუნდმა კარგ შედეგს ვერ მიაღწია. ფრანგებმა ერთნაირი ანგარიშით — 1:2 წააგეს იტალიასა და არგენტინასთან, რის შემდეგაც უნგრეთთან გამარჯვებამ (3:1) მათთვის ვერაფერი შეცვალა. მიშელ პლატინი, ჟან ტიგანა, მარიუს ტრეზორი და ძმანი მათნი ნაადრევად დაბრუნდნენ შინ.

საგანგებო ინტერესის საგანი გახლდათ ჰოლანდიის ნაკრები. მიზეზი გასაგებია: ოთხი წლის წინათ ამ გუნდმა მსოფლიო ფეხბურთს ახალი სიტყვა შესთავაზა, ტოტალური ფეხბურთის ცნება დაამკვიდრა და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ახლა „ნარინჯისფერთა“ შორის აღარ

ფინალში ჰოლანდიელებმა არგენტინელი მარიო კემპესის შეჩერება ვერ შეძლეს

არგენტინელმა დანიელ ბერტონიმ (მარცხნივ) ფინალში ანგარიში 3:1 გახადა

ფრანგმა ბერნარ ლაკომბმა იტალიელთა მეკარეს დინო ძოფს გოლი თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წამში გაუტანა



იყო გენიალური მოთამაშე იოჰან კრუიფი. მან პოლიტიკური მოტივით განაცხადა უარი არგენტინაში გამგზავრებაზე.

ჰოლანდიელებს თავიდან მართლაც გაუჭირდათ, მაგრამ მეორე ეტაპზე გონს მოეგნენ და საბოლოოდ ფინალშიც გავიდნენ.

მეორე ეტაპის ერთ-ერთი უდიდესი ინტრიგა არგენტინელთა და ბრაზილიელთა დაპირისპირება გამოდგა. მათი შეხვედრა 0:0 დასრულდა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ბოლო ტური გახლდათ, რომლის წინაც ბრაზილიელები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი, შეიძლება ითქვას, ცალი ფეხით უკვე ფინალში იყვნენ, ვინაიდან არგენტინა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა გასწრებას, თუ პერუს 4:0-ს მოუგებდა.

და არგენტინამ 6:0 მოიგო. ექვსიდან ორი გოლი მარიო კემპესმა გაიტანა. იმ შეხვედრაზე დღემდე ლაპარაკობენ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამაღელვებელი სანახაობა გამოდგა, არამედ იმიტომაც, რომ მისმა შედეგმა დიდი ეჭვი გააჩინა.

მოსაგონებლად შოტლანდიელთა თავგადასავალიც ივარგებს. კენი დალგლიშისა და გრემ სუნესის გუნდს ბრიტანეთში იმედის თვალით უყურებდნენ, ეგონათ, რომ შოტლანდიის ნაკრები ისტორიაში პირველად გადალახავდა საწყის ეტაპს, მაგრამ პირველ შეხვედრაში მას პერუმ მოუგო 3:1, ხოლო მეორე ირანელებთან ფრედ — 1:1 დამთავრდა. ეს ნიშნავდა, რომ მესამე მატჩში დალგლიშს, სუნესს და სხვებს თვით ჰოლანდიის დამარცხება სჭირდებოდათ, ოღონდ აუცილებლად სამგოლიანი სხვაობით. შოტლანდიელებმა მართლაც გაიმარჯვეს, მაგრამ მხოლოდ 3:2. არადა, იყო მომენტი, როდესაც 3:1-ს იგებდნენ და გულში მეოთხე გოლის მოლოდინიც უღვიოდათ. ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც მანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ნაკრები. დგანან: პასარელა, ბერტონი, ოლგუინი, ტარანტინი, კემპესი, ფილოლი. სხედან: გალიეგო, არდილესი, ლუკე, ორტისი, გალვანი.

მდე ხდებოდა — ყოჩაღი შოტლანდიელები მათთვის ჩვეულ დროს გაემგზავრნენ ბრიტანეთისკენ.

ფინალში კი, არგენტინული წესისა და რიგის თანახმად, ტრიბუნებიდან ნასროლი ქაღალდის ნაგლეჯებით მოფენილ მოედანზე დიდებული შეხვედრა გაიმართა. მასპინძლებმა დამატებით დროში (დამატებითი დრო შეხვედრის ულამაზესი მონაკვეთი გამოდგა) 3:1 სძლიეს „ნარინჯისფერებს“ და სრულიად დამსახურებულად აღმართეს ფიფას ოქროს თასი. ბუენოს აირესის იმ განუმეორებელი საღამოდან კიდევ უამრავი რამის გახსენება შეიძლება, მაგრამ თქვენი ნებართვით მხოლოდ ერთ ეპიზოდზე შევჩერდებით: თამაშის ძირითადი დროის მიწურულს, როდესაც ანგარიში 1:1 იყო და ყველაფერი დამატებითი დროის მოახლოებაზე მეტყველებდა, ჰოლანდიელმა რობ რენსენბრინკმა ძელს გაარტყა ბურთი. ეს მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა მომენტი გახლდათ, ალბათ, იმიტომაც, რომ ხანგრძლივი კამათიც გამოიწვია: რა მოხდებოდა, ბურთი სულ ერთი სანტიმეტრით მარჯვნივ რომ გაფრენილიყო? ამ კითხვას დიდი სერიოზულობით იხილავდნენ წლების განმავლობაში და ბევრ სხვასთან ერთად გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც: რენსენბრინკმა ტექნიკური თვალსაზრისით მაქსიმუმი შეძლო, ბურთის სანტიმეტრით მარჯვნივ დარტყმა კი შეუძლებელი იყო. ძნელია დაეთანხმო ან შეედავო, თუმცა, ვფიქრობთ, ფეხბურთში შემთხვევითობისა და გარემოებების გამო ყველაფერი ხდება.

დასასრულ, ვახსენოთ ჩემპიონატის არგენტინელი გმირი მარიო კემპესი, რომელიც შეჯიბრების განმავლობაში თანდათან აუმჯობესებდა თამაშს და საბოლოოდ ექვსი გოლიც გაიტანა.

ლეგენდარული მიშელ პლატინი იტალიელ მცველთა გარემოცვაში

უტევს არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავი ოსვალდო არდილესი

პირველი ჯგუფი

02.06. არგენტინა	— უნგრეთი	2:1(1:1)
02.06. იტალია	— საფრანგეთი	2:1(1:1)
06.06 არგენტინა	— საფრანგეთი	2:1(1:0)
06.06. იტალია	— უნგრეთი	3:1(2:0)
10.06. იტალია	— არგენტინა	1:0(0:0)
10.06. საფრანგეთი	— უნგრეთი	3:1(3:1)

იტალია	3	3	0	0	6:2	6
არგენტინა	3	2	0	1	4:3	4
საფრანგეთი	3	1	0	2	5:5	2
უნგრეთი	3	0	0	3	3:8	0

მეორე ჯგუფი

01.06. გფრ	— პოლონეთი	0:0
02.06. ტუნისი	— მექსიკა	3:1(1:1)
06.06 პოლონეთი	— ტუნისი	1:0(1:0)
06.06. გფრ	— მექსიკა	6:0(4:0)
10.06. პოლონეთი	— მექსიკა	3:1(1:0)
10.06 ტუნისი	— გფრ	0:0

პოლონეთი	3	2	1	0	4:1	5
გფრ	3	1	2	0	6:0	4
ტუნისი	3	1	1	1	3:2	3
მექსიკა	3	0	0	3	2:12	0

მესამე ჯგუფი

03.06. ავსტრია	— ესპანეთი	2:1(1:1)
03.06. შვედეთი	— ბრაზილია	1:1(1:1)
07.06. ავსტრია	— შვედეთი	1:0(1:0)
07.06. ბრაზილია	— ესპანეთი	0:0
11.06. ესპანეთი	— შვედეთი	1:0(0:0)
11.06. ბრაზილია	— ავსტრია	1:0(1:0)

ავსტრია	3	2	0	1	3:2	4
ბრაზილია	3	1	2	0	2:1	4
ესპანეთი	3	1	1	1	2:2	3
შვედეთი	3	0	1	2	1:3	1

მეოთხე ჯგუფი

03.06. პერუ	— შოტლანდია	3:1(1:1)
03.06. ჰოლანდია	— ირანი	3:0(1:0)
07.06. შოტლანდია	— ირანი	1:1(1:0)
07.06. ჰოლანდია	— პერუ	0:0
11.06. პერუ	— ირანი	4:1(1:1)
11.06. შოტლანდია	— ჰოლანდია	3:2(1:1)

პერუ	3	2	1	0	7:2	5
ჰოლანდია	3	1	1	1	5:3	3
შოტლანდია	3	1	1	1	5:6	3
ირანი	3	0	1	2	2:8	1

პირველი ნახევარფინალური ჯგუფი

14.06. გფრ	— იტალია	0:0
14.06. ჰოლანდია	— ავსტრია	5:1(3:0)
18.06. იტალია	— ავსტრია	1:0(1:0)
18.06. ჰოლანდია	— გფრ	2:2(1:1)
21.06. ჰოლანდია	— იტალია	2:1(0:1)
21.06. ავსტრია	— გფრ	3:2(0:1)

ჰოლანდია	3	2	1	0	9:4	5
იტალია	3	1	1	1	2:2	3
გფრ	3	0	2	1	4:5	2
ავსტრია	3	1	0	2	4:8	2

მეორე ნახევარფინალური ჯგუფი

14.06. არგენტინა	— პოლონეთი	2:0(1:0)
14.06. ბრაზილია	— პერუ	3:0(2:0)
18.06. არგენტინა	— ბრაზილია	0:0
18.06. პოლონეთი	— პერუ	1:0(0:0)
21.06. არგენტინა	— პერუ	6:0(2:0)
21.06. ბრაზილია	— პოლონეთი	3:1(1:1)

არგენტინა	3	2	1	0	8:0	5
ბრაზილია	3	2	1	0	6:1	5
პოლონეთი	3	1	0	2	2:5	2
პერუ	3	0	0	3	0:10	0

მესამე ადგილი

24.06. ბრაზილია — იტალია 2:1 (0:1)

ფინალი. 25.06.

არგენტინა 3:1 დ.დ. (1:1) **ჰოლანდია** (1:0)

1:0 კემპესი (38), 1:1 ნანინგა (81), 2:1 კემპესი (105), 3:1 ბერტონი (114)

არგენტინა: ფილოლი, ოლგუინი, ლ. გალვანი, პასარელა, ტარანტინი, გალიეგო, არდილესი (ლაროსა 65), ორტიზი (ჰაუსმანი 74), ბერტონი, ლუკე, კემპესი

მწვრთნელი: ლუის სესარ მენოტი

ჰოლანდია: იონგბლადი, პოორტვლიე, კროლი, ბრანდტსი, ვ. ვან დე კერკჰოფი, რ. ვან დე კერკჰოფი, იანსენი (სუურბიერი 72), ჰაანი, ნეესკენსი, რენსენბრინკი, რეი (ნანინგა 59)

მწვრთნელი: რინუს მიხელსი

მსაჯი: სტეფანო გონელა (იტალია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1982

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა რიცხვი კიდევ გაიზარდა — ესპანეთში თავი 24 ნაკრებმა მოიყარა. თავმოყრის პრინციპიც ახლებური იყო. უფრო სწორად — კონტინენტურ ფედერაციათა მიხედვით ადგილები განაწილდა ახლებურად: ევროპას ცამეტი ერგო, სამხრეთ ამერიკას — სამი, აზიასა და ოკეანიას ერთად ორი გუნდით მონაწილეობის უფლება მისცეს, ამდენივე ვაკანსია ხვდა ცენტრალური და ჩრდილო ამერიკის კონფედერაციას, ხოლო დარჩენილი ორი მასპინძელი ესპანეთისა და მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინისა გახლდათ.

სიახლე იყო ისიც, რომ საკუთრივ ტურნირის პირველ ეტაპზე შეიქმნა ექვსი ოთხგუნდიანი ჯგუფი, ხოლო მეორე ეტაპზე ამ ჯგუფების პირველი და მეორე გუნდები გავიდნენ. თავად მეორე ეტაპის პრინციპი ასეთი გახლდათ: ოთხი სამგუნდიანი ჯგუფიდან ნახევარფინალში პირველები იყრიდნენ თავს, ხოლო იქ უკვე ნაცადი მეთოდით გრძელდებოდა — ნახევარფინალში გამარჯვებულები ფინალში, დამარცხებულები კი მესამე ადგილისთვის მატჩში უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად მონაწილეთა რაოდენობის გაზრდისა, ესპანეთის „ვიზა“ ვერ მიიღო წინა ორი ჩემპიონატის სენსაციამ და ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა ჰოლანდიის ნაკრებმა. იგი ვერ გასცდა შესარჩევ შეჯიბრებას, სადაც მიშელ იდალგოს ეპოქის ჯადოსნურმა საფრანგეთმა აჯობა — იმ პირველობაზე ფრანგები მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

სხვათა შორის, საბოლოოდ კი გავიდნენ ფრანგები მეოთხეზე, მაგრამ შესარჩევში პირველი ადგილი ვერც მათ დაიკავეს, — წინ ბელგია იყო, თუმცა ჯობს წინასწარ რაუნდებზე საუბარი აქ შევწყვიტოთ და ესპანეთის სტადიონებს დავუბრუნდეთ.

პირველი ეტაპი ესპანეთის სტადიონებზეც ერთობ რთული გამოდგა. იგივე საფრანგეთი აქაც მეორე ადგილზე გავიდა — ინგლისმა გაასწრო; გფრ, მართალია, საბოლოოდ ცხრილში პირველ ადგილზე ჩაეწერა, მაგრამ გვარიანად ინერვიულა და წარმოიდგინეთ, პირველ შეხვედრაში თვით ალჟირთან წააგო 1:2. რაც მთავარია, პირველი ეტაპიდან ძლივს გააღწია გუნდმა, რომელიც შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა — ბოლო შეხვედრაში კამერუნელთა მეკარეს ტომას ნკონოს ფეხი რომ არ დაცდენოდა და ფრანჩესკო გრაციანის ბურთი არ შეეგდო, ჩემპიონობაზე კი არა, იტალიაში დაბრუნებაზე მოუხდებოდა ფიქრი. ერთი სიტყვით, „სკუადრა აძურამ“ აფრიკელებს მხოლოდ და მხოლოდ იმით აჯობა, რომ მეტი გოლი აღმოაჩნდა გატანილი.

მაგრამ მეორე ეტაპზე იტალია უკვე იტალია იყო, გერმანია გერმანია და საფრანგეთიც საფრანგეთი, ხოლო ინგლისმა, ბრაზილიამ და არგენტინამ თავი ვეღარ გამოიჩინეს.

ერთი სიტყვით, ნახევარფინალში გავიდნენ: იტალია, პოლონეთი, გფრ და საფრანგეთი. იტალიელებმა და პოლონელებმა მარტივი შეხვედრა გამართეს — „სკუადრა აძურამ“ სოციალისტებს ულაპარაკოდ აჯობა 2:0 და ორივე გოლი პაოლო როსიმ გაიტანა. რაც შეეხება მეორე წყვილს, მათი თამაში ერთ-ერთი ისეთი გამოდგა, მარადიული მსჯელობისა და კამათის თემად რომ იქცევა ხოლმე.

უმრწმესი და უხუცესი: ჯუზეპე ბერგომი სიხარულისგან დინო ძოფს შემოახტა

თავიდან პიერ ლიტბარსკის გოლით დასავლეთგერმანელები დაწინაურდნენ, შემდეგ მიშელ პლატინიმ პენალტით გაქვითა ანგარიში და საქმე დამატებით დროზე მიდგა. დამატებით დროში საფრანგეთის ფანტასტიკურმა გუნდმა ორი ბურთი შეაგდო და 3:1 დაწინაურდა, მაგრამ უტეხი და უდიდესი, მოედანზე ბოლოს შესული კარლ ჰაინც რუმენიგეს ლიდერობით გერმანელებმა ანგარიში გაქვითეს და საბოლოოდ პენალტებით გაიმარჯვეს კიდეც.

და ამ შეხვედრაში იყო კიდევ ერთი, მარად საკამათო ეპიზოდი: ძირითადი დროის მეორე ტაიმში, მე-7 წუთზე, გფრ-ის მეკარემ ტონი შუმახერმა ფრანგი პატრიკ ბატისტონი დააშავა, თანაც ისე, რომ „სენტ ეტიენის“ ფეხბურთელი მოედნიდან საკაცით გასაყვანი შეიქნა. ეს ეპიზოდი განსაკუთრებით იმან გაამძაფრა, რომ ბურთის მოსახელთებლად გამოქცეული გოლკიპერი, როგორც ტელეგამეორებებიდან გამოჩნდა, თითქოს განზრახ დაეჯახა ბატისტონს, ანუ ყურადღება მეტოქის დასაშავებლად მოიკრიბა, მსაჯმა კი არ დასაჯა. შესაბამისად, ფრანგები იძულებულნი გახდნენ, ნაადრევად შეეცვალათ ფეხბურთელი, მაშინ როდესაც შეეძლოთ ეს უფლება, მოგვიანებით, დაღლილი მოთამაშის ნაცვლად ახლის შესაყვანად გამოეყენებინათ.

და მაინც, გერმანია ღირსეული ფინალისტი გახლდათ, იტალია კი ღირსეული ჩემპიონი — სამგზის ჩემპიონი, ამ შედეგით იგი ბრაზილიას გაუტოლდა.

ფინალში „სკუადრა აძურამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა — 3:1 და მატჩის დამთავრების შემდეგ ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა ფიფას თასი იტალიელთა 40 წლის კაპიტანს დინო ძოფს გადასცა.

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად 6 გოლის გამტანი, პაოლო როსი დაასახელეს.

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იტლიის ნაკრები. დგანან: ძოფი, გრაციანი, ბერგომი, შირეა, კოლოვატი, ჯენტილე. სხედან: კონტი, როსი, ორიალი, კაბრინი, ტარდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გფრ—საფრანგეთი პატრიკ ბატისტონი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს

დიდი გერმანელი კარლ-ჰაინც რუმენიგე ფრანგი დომენიკ როშტოს წინააღმდეგ

არგენტინა—ბრაზილია. მოედნიდან დიეგო მარადონას აძევებენ

პირველი ჯგუფი

14.06. იტალია — პოლონეთი 0:0
15.06. პერუ — კამერუნი 0:0
18.06. იტალია — პერუ 1:1 (1:0)
19.06. პოლონეთი — კამერუნი 0:0
22.06.პოლონეთი — პერუ 5:1
23.06 იტალია — კამერუნი 1:1(0:0)

პოლონეთი	3	1	2	0	5:1	4
იტალია	3	0	3	0	2:2	3
კამერუნი	3	0	3	0	1:1	3
პერუ	3	0	2	1	2:6	2

მეორე ჯგუფი

16.06. ალჟირი — გფრ 2:1(0:0)
17.06. ავსტრია — ჩილე 1:0(1:0)
20.06.გფრ — ჩილე 4:1(1:0)
21.06. ავსტრია — ალჟირი 2:0(0:0)
24.06.ალჟირი — ჩილე 3:2(3:0)
25.06.გფრ — ავსტრია 1:0(1:0)

გფრ	3	2	0	1	6:3	4
ავსტრია	3	2	0	1	3:1	4
ალჟირი	3	2	0	1	5:5	4
ჩილე	3	0	0	3	3:8	0

მესამე ჯგუფი

13.06. ბელგია — არგენტინა 1:0(0:0)
15.06. უნგრეთი — სალვადორი 10:1(3:0)
18.06. არგენტინა — უნგრეთი 4:1(2:0)
19.06. ბელგია — სალვადორი 1:0(1:0)
22.06.ბელგია — უნგრეთი 1:1(0:1)
23.06.არგენტინა — სალვადორი 2:0(1:0)

ბელგია	3	2	1	0	3:1	5
არგენტინა	3	2	0	1	6:2	4
უნგრეთი	3	1	1	1	12:6	3
სალვადორი	3	0	0	3	1:13	0

მეოთხე ჯგუფი

16.06. ინგლისი — საფრანგეთი 3:1(1:1)
17.06. ჩეხოსლოვაკია — ქუვეითი 1:1(1:0)
20.06.ინგლისი — ჩეხოსლოვაკია 2:0(0:0)
21.06. საფრანგეთი — ქუვეითი 4:1(2:0)
24.06.საფრანგეთი — ჩეხოსლოვაკია 1:1(0:0)
25.06.ინგლისი — ქუვეითი 1:0(1:0)

ინგლისი	3	3	0	0	6:1	6
საფრანგეთი	3	1	1	1	6:5	3
ჩეხოსლოვაკია	3	0	2	1	2:4	2
ქუვეითი	3	0	1	2	2:6	1

მეხუთე ჯგუფი

16.06. ესპანეთი — ჰონდურასი 1:1(0:1)
17.06. იუგოსლავია — ჩრ.ირლანდია 0:0
20.06 ესპანეთი — იუგოსლავია 2:1(1:1)
21.06. ჰონდურასი — ჩრდ.ირლანდია 1:1(0:1)
24.06.იუგოსლავია — ჰონდურასი 1:0(0:0)
25.06.ჩრდ. ირლანდია — ესპანეთი 1:0(0:0)

ჩრდ. ირლანდია	3	1	2	0	2:1	4
ესპანეთი	3	1	1	1	3:3	3
იუგოსლავია	3	1	1	1	2:2	3
ჰონდურასი	3	0	2	1	2:3	2

მეექვსე ჯგუფი

14.06. ბრაზილია — სსრკ 2:1(0:1)
15.06. შოტლანდია — ახ.ზელანდია 5:2(3:0)
18.06. ბრაზილია — შოტლანდია 4:1(1:1)
19.06. სსრკ — ახ.ზელანდია 3:0(1:0)
22.06.სსრკ — შოტლანდია 2:2(0:1)
23.06.ბრაზილია — ახ.ზელანდია 4:0(2:0)

ბრაზილია	3	3	0	0	10:2	6
სსრკ	3	1	1	1	6:4	3
შოტლანდია	3	1	1	1	8:8	3
ახ. ზელანდია	3	0	0	3	2:12	0

პირველი ნახევარფინალური ჯგუფი

28.06. პოლონეთი — ბელგია 3:0(2:0)
01.07. სსრკ — ბელგია 1:0(0:0)
04.07. პოლონეთი — სსრკ 0:0

პოლონეთი	2	1	1	0	3:0	3
სსრკ	2	1	1	0	1:0	3
ბელგია	2	0	0	2	0:4	0

მეორე ნახევარფინალური ჯგუფი

29.06. გფრ — ინგლისი 0:0
02.07.გფრ — ესპანეთი 2:1(0:0)
05.07.ესპანეთი — ინგლისი 0:0

გფრ	2	1	1	0	2:1	3
ინგლისი	2	0	2	0	0:0	2
ესპანეთი	2	0	1	1	1:2	1

მესამე ნახევარფინალური ჯგუფი

29.06. იტალია — არგენტინა 2:1(0:0)
02.07. ბრაზილია — არგენტინა 3:1(1:0)
05.07. იტალია — ბრაზილია 3:2(2:1)

იტალია	2	2	0	0	5:3	4
ბრაზილია	2	1	0	1	5:4	2
არგენტინა	2	0	0	2	2:5	0

მეოთხე ნახევარფინალური ჯგუფი

28.06. საფრანგეთი — ავსტრია 1:0(1:0)
01.07. ავსტრია — ჩრდ. ირლანდია 2:2(0:1)
04.07.საფრანგეთი — ჩრდ.ირლანდია 4:1(1:0)

საფრანგეთი	2	2	0	0	5:1	4
ავსტრია	2	0	1	1	2:3	1
ჩრდ. ირლანდია	2	0	1	1	3:6	1

ნახევარფინალი

08.07.იტალია — პოლონეთი 2:0 (1:0)
08.07.გფრ — საფრანგეთი 3:3დ.დ.(პენ. 5:4, 1:1) (1:1)

მესამე ადგილი

10.07.პოლონეთი — საფრანგეთი 3:2 (2:1)

ფინალი 11.07

იტალია 3:1 გფრ

1:0 როსი (57), 2:0 ტარდელი (69), 3:0 ალტობელი (81), 3:1 ბრაიტნერი (83)

იტალია: ძოფი, შირეა, ჯენტილე, კოლოვატი, კაბრინი, ბერგომი, ორიალი, ტარდელი, კონტი, გრაციანი (ალტობელი 8; კაუზიო 88), როსი

მწვრთნელი: ენცო ბეარზოტი

გფრ: შუმახერი, კალცი, შტილიკე, კ. ფიორსტერი, ბ. ფიორსტერი, დრემლერი (ჰრუბეში 63), ბრაიტნერი, ბრიგელი, რუმენიგე (მიულერი 70), ლიტბარსკი, ფიშერი

მწვრთნელი: იუპ დერვალი

მსაჯი: ა. კოელიო (ბრაზილია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986



მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატის ჩატარება ფიფამ თავდაპირველად კოლუმბიაში გადაწყვიტა, მაგრამ 1983 წელს ამ ქვეყანამ განაცხადა, რომ მასშტაბურ შეჯიბრებას ვერ გაუმკლავდება და ფეხბურთის დიდმპყრობელთ ახალი მასპინძლის შერჩევა მოუხდათ. მაშინ, ახალ მასპინძლად მექსიკა დაასახელეს, თუმცა ჩემპიონატს თურმე კიდევ ერთი გამოცდის გაძლება ელოდა — მის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მექსიკას მიწისძვრის ტალღამ გადაურბინა, 20 ათასი ადამიანი იმსხვერპლა და შენობებიც მრავლად დაანგრია. ფიფა ახალი პრობლემის წინაშე დადგა, მაგრამ, საბედნიეროდ, ინსპექტირებამ გამოავლინა, რომ სტიქიას სტადიონები არ დაუზიანებია, მექსიკის ხელისუფლებამ და შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა კი ჭირსა შიგან გამაგრების საუცხოო მაგალითი აჩვენეს.

ერთი სიტყვით მსოფლიოს პირველობა ჩატარდა. მასში მონაწილეობა, ოთხი წლის წინანდელის მსგავსად ოცდაოთხმა გუნდმა მიიღო, თუმცა წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით მეორე ეტაპი ჩვეულებრივი პლეი-ოფის პრინციპით გაიმართა, იგი მერვედფინალით დაიწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ეტაპი მხოლოდ რვა გუნდმა ვერ გადალახა და, შესაბამისად, სიურპრიზებიც არ ყოფილა. ერთადერთი, რაც მეტ-ნაკლებად მოულოდნელ შედეგად მიიჩნიეს, მერვედფინალში მაროკოელთა გასვლა გახლდათ. მანამდე აფრიკის წარმომადგენელს პირველი ეტაპი ხომ არასდროს გადაელახა.

1986 წლის ჩემპიონატი მეხსიერებას უპირველესად დიეგო მარადონას გენიალური ფეხბურთით შემორჩა. ეს იყო ღვთისგან ბოძებული საგანგებო ნიჭის ფოიერვერკი, რაც საფრანგეთის კვლავაც საუცხოო ნაკრებმა (ამჟამად ანრი მიშელის ხელმძღვანელობით) და ტელე სანტანას ერთობ სანახაობრივმა ბრაზილიამ გააფერადოვნეს.

კიდევ, ეს იყო არგენტინისა და ინგლისის დაუვიწყარი შეხვედრის შემქმნელი ჩემპიონატი, ხოლო საკუთრივ შეხვედრა დაუვიწყარი ისევ და ისევ მარადონას წყალობით გახდა: მსოფლიომ დროის მცირე მონაკვეთში იხილა ორი გოლი — „ღვთის ხელით“ და ჯადოსნური დრიბლინგით გატანილი.

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ნაკრები. დგანან: ბატისტა, კუსიუფო, ოლარტიკოეჩეა, პუმპიდო, ბრაუნი, რუჯერი, მარადონა. სხედან: ბურუჩაგა, ჯუსტი, ერრიკე, ვალდანო

ამავე შეჯიბრებამ გვაჩუქა საოცარი მეოთხედფინალური შეხვედრა საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრებთა შორის. გვადალახარაში გამართული ეს მატჩი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო, კლასიკურ ნიმუშთა შორისაა შეტანილი. მიზეზი გასაგებია: გვადალახარას სტადიონზე შეკრებილთ, პლანეტის ტელემაყურებლებთან ერთად იხილეს ორმხრივი შემოქმედება და დრამატიზმი. იმ დღეს შეხვედრის დასრულებამდე 12 წუთით ადრე ფრანგთა მეკარემ, ჟოელ ბატსმა ზიკოს პენალტი აუღო, რის გამოც საქმე მატჩისშემდგომ პენალტებზე მიდგა და იქ (მიშელ პლატინის დაბადების დღეს) საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა გაიმარჯვა.

ასე შეხვდნენ მექსიკელები მსოფლიოს ჩემპიონატს



მაშ ასე, ფრანგები ნახევარფინალში გავიდნენ და იქ... გფრ-ს შეხვდნენ. და მსოფლიოს ოთხი წლის წინანდელი დრამატული შეხვედრა გაახსენდა. შედგება შურისძიება?

შურისძიება ვერ შედგა. ბრაზილიასთან ზეთამაშის გამო ემოციურად და ფიზიკურად გამოფიტულმა საფრანგეთის ნაკრებმა ღონიერ გერმანიას წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მეორე ნახევარფინალში კი ბელგიის დაცვასა და ნახევარდაცვას გენიოსი არბევდა.

და ფინალი, არგენტინა — გფრ. ერთმანეთის პირისპირ შეუპოვართა ძალმოსილი გუნდი და დიდი დიეგოს მეგობრები წარსდგნენ: 3:2, ასე გაიმარჯვეს არგენტინელებმა. მსოფლიოს მწვერვალზე მარადონა დაბრძანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი

31.05. ბულგარეთი — იტალია 1:1(0:1)
02.06.არგენტინა — სამხ. კორეა 3:1(2:0)
05.06.იტალია — არგენტინა 1:1(1:1)
05.06.სამხ. კორეა — ბულგარეთი 1:1(0:1)
10.06. იტალია — სამხ. კორეა 3:2(1:0)
10.06. არგენტინა — ბულგარეთი 2:0(1:0)

არგენტინა	3	2	1	0	6:2	5
იტალია	3	1	2	0	5:4	4
ბულგარეთი	3	0	2	1	2:4	2
სამხ. კორეა	3	0	1	2	4:7	1

B ჯგუფი

03.06.მექსიკა — ბელგია 2:1(2:1)
04.06.პარაგვაი — ერაყი 1:0(1:0)
07.06.მექსიკა — პარაგვაი 1:1(1:0)
08.06.ბელგია — ერაყი 2:1(2:0)
11.06. მექსიკა — ერაყი 1:0(0:0)
11.06. პარაგვაი — ბელგია 2:2(0:1)

მექსიკა	3	2	1	0	4:2	5
პარაგვაი	3	1	2	0	4:3	4
ბელგია	3	1	1	1	5:5	3
ერაყი	3	0	0	3	1:4	0

C ჯგუფი

01.06. საფრანგეთი — კანადა 1:0(0:0)
02.06.სსრკ — უნგრეთი 6:0(3:0)
05.06.საფრანგეთი — სსრკ 1:1(0:0)
06.06.უნგრეთი — კანადა 2:0(1:0)
09.06.საფრანგეთი — უნგრეთი 3:0(1:0)
09.06.სსრკ — კანადა 2:0(0:0)

სსრკ	3	2	1	0	9:1	5
საფრანგეთი	3	2	1	0	5:1	5
უნგრეთი	3	1	0	2	2:9	2
კანადა	3	0	0	3	0:5	0

D ჯგუფი

01.06. ბრაზილია — ესპანეთი 1:0(0:0)
03.06.ალჟირი — ჩრდ. ირლანდია 1:1(0:1)
06.06.ბრაზილია — ალჟირი 1:0(0:0)
07.06.ესპანეთი — ჩრდ.ირლანდია 2:1(2:0)
12.06. ბრაზილია — ჩრ.ირლანდია 3:0(1:0)
12.06. ესპანეთი — ალჟირი 3:0(1:0)

ბრაზილია	3	3	0	0	5:0	6
ესპანეთი	3	2	0	1	5:2	4
ჩრდ. ირლანდია	3	0	1	2	2:6	1
ალჟირი	3	0	1	2	1:5	1

E ჯგუფი

04.06.ურუგვაი — გფრ 1:1(1:0)
04.06.დანია — შოტლანდია 1:0(0:0)
08.06.გფრ — შოტლანდია 2:1(1:1)
08.06.დანია — ურუგვაი 6:1(2:1)
13.06. დანია — გფრ 2:0(1:0)
13.06. შოტლანდია — ურუგვაი 0:0

დანია	3	3	0	0	9:1	6
გფრ	3	1	1	1	3:4	3
ურუგვაი	3	0	2	1	2:7	2
შოტლანდია	3	0	1	2	1:3	1

F ჯგუფი

02.06.მაროკო — პოლონეთი 0:0
03.06.პორტუგალია — ინგლისი 1:0(0:0)
06.06.ინგლისი — მაროკო 0:0
07.06.პოლონეთი — პორტუგალია 1:0(0:0)
11.06. მაროკო — პორტუგალია 3:1(2:0)
11.06. ინგლისი — პოლონეთი 3:0(3:0)

მაროკო	3	1	2	0	3:1	4
ინგლისი	3	1	1	1	3:1	3
პოლონეთი	3	1	1	1	1:3	3
პორტუგალია	3	1	0	2	2:4	2

მერვედფინალი

15.06. მექსიკა — ბულგარეთი 2:0(1:0)
15.06. ბელგია — სსრკ 4:3დ.დ.(2:2)(0:1)
16.06. არგენტინა — ურუგვაი 1:0(1:0)
16.06. ბრაზილია — პოლონეთი 4:0(1:0)
17.06. საფრანგეთი — იტალია 2:0(1:0)
17.06. გფრ — მაროკო 1:0(0:0)
18.06. ინგლისი — პარაგვაი 3:0(1:0)
18.06. ესპანეთი — დანია 5:1(1:1)

მეოთხედფინალი

21.06. საფრანგეთი — ბრაზილია 1:1 (პენ. 4:3)(1:1)
21.06. გფრ — მექსიკა 0:0(პენ. 4:1)
22.06.ბელგია — ესპანეთი 1:1(პენ. 5:4)(1:0)
22.06.არგენტინა — ინგლისი 2:1(0:0)

ნახევარფინალი

25.06.არგენტინა — ბელგია 2:0 (0:0)
25.06.გფრ — საფრანგეთი 2:0 (1:0)

მესამე ადგილი

28.06.საფრანგეთი — ბელგია 4:2დ.დ.(2:2) (2:1)

ფინალი 29.06

არგენტინა 3:2 გფრ

1:0 ბრაუნი (23), 2:0 ვალდანო (55), 2:1 რუმენიგე (74), 2:2 ფიოლერი (80), 3:2 ბურუჩაგა (83)

არგენტინა: პუმპიდო, ბრაუნი, კუსიუფო, რუჯერი, ოლარტიკოეჩეა, ბატისტა, ენრიკე, ხიუსტი, ბურუჩაგა (ტრობიანი 88), მარადონა, ვალდანო

მწვრთნელი: კარლოს ბილარდო

გფრ: შუმახერი, იაკობსი, ბერთოლდი, ბრეგე, ფიორსტერი, ბრიგელი, მათეუსი, ედერი, მაგათი (ჰიონესი 60), რუმენიგე, ალოფსი (ფიოლერი 46)

მწვრთნელი: ფრანც ბეკენბაუერი

მსაჯი: რ. არპი ფილიო (ბრაზილია)

წამიც და ფრანგი მიშელ პლატინი (უკანა პლანზე) ბრაზილიელთა კარში გოლს გაიტანს

„ღვთის ხელი“ დიეგო მარადონას შესრულებით

როი კინი

ირლანდია/მანჩესტერ იუნაიტედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატმოცნობები

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი 31 მაისს, სეულში, თბილისის დროით ნაშუადღევს, ოთხის ნახევარზე, საფრანგეთ-სენეგალის მატჩით გაიხსნება. ფრანგები ჩემპიონები არიან, სენეგალელები — დებიუტანტები, მაგრამ ახლახან დამთავრებულ აფრიკის თასის გათამაშებაში სენეგალელი „ლომების“ ჟინიანმა გამოსვლამ „სამფროვნები“ თურმე გვარიანად ჩააფიქრა. „სენეგალის ნაკრები, შესაძლოა, ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენად იქცეს, — ამბობს ფრანგების ნახევარმცველი რობერ პირესი, — ისინი ძალიან ღონივრები, ახალგაზრდები და სწრაფები არიან“.

„ზაფხულამდე ალბათ კიდევ უფრო გაძლიერდებიან, — მხარს უბამს „ლიონის“ შუახაზელი ერიკ კარიე — მართალია, გამოუცდელები არიან, მაგრამ მაინც მეტად სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ“.

ორეის მთავრობას განუზრახავს გახსნის მატჩზე სიმბოლური დარტყმისთვის იაპონიის უფლისწული ნარუჰიტო მიიწვიოს. იაპონელი დიდკაცობა კი თურმე სხვაგვარად ფიქრობს, მათ სურთ ბურთს ფეხი პირველმა ქვეყნის პრემიერმინისტრმა, ძუნიტირო კოიძუმიმ დაჰკრას.

იაპონიის ქალაქ საპოროს პოლიციას (სადაც გერმანია-საუდეთის, არგენტინა-ინგლისისა და იტალია-ეკვადორის მატჩები გაიმართება) საფეხბურთო ხულიგნების ასალაგმავად ისეთი ხერხი მოუფიქრებია, მხოლოდ ფანტასტიკურ ბოევიკებში რომ გვინახავს. „საიდუმლო იარაღი“, როგორც მას იაპონიაში შეარქვეს, ჩვეულებრივ თოფს ჰგავს, ოღონდ ტყვიის ნაცვლად გამძლე ნეილონის ბადეს ისვრის. ასე ერთდროულად რამდენიმე ადამიანის დატყვევება შეიძლება. „ბადის კლიენტები“ უმეტესად, ალბათ, არგენტინა-ინგლისის მატჩზე მისული ფანები იქნებიან.

„სირთულე ის არის, რომ უცხოელები ჩვენებზე მოსულები არიან, — ამბობს ქალაქის პოლიციის შეფი კაძუიკი ოი, — ჩვენი თანამშრომლები ჩინებულად ფლობენ ძიუდოსა და კენდოს, მაგრამ ზორბა და ნასვამი ინგლისელების შესაჩერებლად ზოგჯერ ჭიდაობის ეს ძველი სახეობებიც უძლურია. ბადე უფრო ეფექტურია, უსაფრთხოა და ხულიგანს წამში უსპობს თავისუფლებას“.

რაღაც მსგავსი ბადეების გამოყენება იაპონიაში ოცდაათი წლის წინათ აუკრძალავთ. მიზეზი ის ყოფილა, რომ „იარაღის“ აბლაბუდაში ზოგჯერ უბრალო ხალხიც ეხვეოდა. საშუალო ბადის ზომა 25 კვადრატული მეტრი ყოფილა.

ბადის მტყორცნელი საპოროელი პოლიციელი

REUTERS



REUTERS

ხოსე ლუის ჩილავერტს ფიფამ დისკვალიფიკაცია ერთი მატჩით შეუმცირა.

პარაგვაის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის იაპონიის ქალაქ მაცუმოტოში მოემზადება, ასპარეზობის დაწყებისთვის კი კორეაში გადავიდა, სადაც ჯგუფური ტურნირის სამივე მატჩს გამართავს. პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ოსკარ ჰარისონმა მაცუმოტოს ხელისუფლებთან უკვე გააფორმა ხელშეკრულება.

პარაგვაელთა კაპიტან ხოსე ლუის ჩილავერტს კი ფიფამ დისკვალიფიკაცია ერთი მატჩით შეუმცირა.

საქმე ის არის, რომ შემოდგომაზე, ბრაზილიასთან შესარჩევი შეხვედრის მერე ჩილავერტმა მეტოქე გუნდის მოთამაშე გააცდინა, რობერტო კარლოსს შეაფურთხა და ფიფასგან ოთხი ოფიციალური მატჩის გამოტოვება ებრძანა. ორი შეხვედრა მეკარემ შესარჩევ ციკლში, ორიც მსოფლიო ჩემპიონატისას უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის მმართველმა ფიფას გადაწყვეტილების გადასინჯვა სთხოვეს, რადგან ჩილავერტის თქმით, მისი განრისხება რობერტო კარლოსის ბილწსიტყვაობამ გამოიწვია. ფიფას სააპელაციო კომიტეტმა მატჩის ვიდეოფირი თავიდან დაატრიალა და კაპიტანს სასჯელი სამ მატჩამდე შეუმცირა. ეს ნიშნავს, რომ ჩილავერტი გამოტოვებს მხოლოდ პირველ შეხვედრას სამხრეთ აფრიკასთან, მეორე ტურში კი, ესპანელებთან, თავის ადგილს დაიკავებს.

ატმოცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონიის ნაკრების მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ეროვნული გუნდის ვარჯიშები დახურული იქნებაო და ამით ქალაქ ივატას მერის გულისწყრომა გამოიწვია. ვარაუდობდნენ, რომ მასპინძელი გუნდის ვარჯიშებს ყველა მსურველი დაესწრებოდა, რაც ივატაში ტურისტებს მოიზიდავდა. მერიელების გათვლით, ეს ქალაქს ბიუჯეტს დაახლოებით 4 მილიარდი იენით (34 მილიონი დოლარი) ახეირებდა: „გვესმის, რომ ნაკრების ინტერესები მთავარია და ჩემპიონატის მოსაგებად! რაღაც-რაღაცების დამალვაა საჭირო, მაგრამ ქომაგებსაც ხომ აქვთ უფლება, საყვარელ ფეხბურთელებს ახლოდან უცქირონ“, — დასძინა ნირწამხდარმა მერმა.

ორეის ავიაკომპანია KOREAN AIR-მა თავისი ორი თვითმფრინავი მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლოთი, ემბლემითა და ფეხბურთელების ვეება ფიგურებით მოხატა. უახლოეს ხანში ასე კიდევ სამ თვითმფრინავს მორთავენ. KOREAN AIR მგზავრებს დაჰპირდა, რომ ჩემპიონატის დღეებში კორეასა და ევროპას შორის რეისებს ერთიორად გაზრდის.

REUTERS

KOREAN AIR-ი თვითმფრინავებს ასე აჭრელებს

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ურუგვაის ნაკრები ქალაქ ჩეონანის სპორტულ კომპლექს „სამსუნგში“ იცხოვრებს. ამბობენ, „სამსუნგი“ კორეაში ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი ბაზაა. „გაგვიმართლა, იქ ჩინებული მოედნები, სპორტული დარბაზები და დასასვენებელი ადგილებია“, — სიხარულს ვერ მალავს ნაკრების სპორტული მდივანი ოსვალდო ხიმენესი.

„სამსუნგის“ კომპლექსი თავიდან თურმე იტალიელებსა და არგენტინელებს შეუგულებიათ, მაგრამ წილისყრამ ისინი იაპონიაში გაამწესა და ბურთი და მოედანი ურუგვაელებს დარჩათ.

სხვა ღირებულებებთან ერთად „სამსუნგის“ ღირსება ისიც ყოფილა, რომ კომპლექსი ქალაქ სუვონიდან ნახევარი საათის სავალზეა. ამ ქალაქში ურუგვაელები ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს გამართავენ სენეგალთან.

ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ბიბი-სისთან ინტერვიუში განაცხადა, რომ კორეა-იაპონიაში ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი იქნება: „დევიდით კმაყოფილი ვარ. კარგად თამაშობს, ჩინებული კაპიტანია და ვერ გამიგია, რატომ უნდა შევცვალო. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ხვდება თუ არა „მანჩესტერის“ ძირითადში“.

ერიკსონის განცხადებით, ეროვნული გუნდის ბირთვი უკვე დაკომპლექტებულია, მისი თქმით, „ერთიორი ვაკანტური ადგილიღა“ დარჩა, რომელიც უახლოესი ამხანაგური მატჩების შემდეგ შეივსება.



REUTERS

მსოფლიოს ჩემპიონატზე დევიდ ბექემი კაპიტანი იქნება, ხოლო ინგლისელებს ასეთი მაისურები ეცმებათ

და კიდევ, ერიკსონმა ნაკრებში მიიწვია პროფესიონალი ფსიქოლოგი, ნორვეგიელი ვილი რაილო. „ყველა მწვრთნელს მეტ-ნაკლებად უხდება ფსიქოლოგიასთან შეხება. ამიტომ ამ საქმის მცოდნე ადამიანის მოწვევა აუცილებელია, — დასძინა შვედმა. — ვილისგან სასწაულებს არ ველი, მას ამისათვის ძალიან ცოტა დრო ექნება, მაგრამ მჯერა, მომავალში ფსიქოლოგის სამსახური ყველა სოლიდურ კლუბს თუ ნაკრებს დასჭირდება“.

გერმანელთა მწვრთნელის რუდი ფიოლერის აზრით, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საუდის არაბეთთან ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი იქნება: „ამ თამაშისთვის ფეხბურთელები განსაკუთრებულად უნდა მოემზადონ. 1990 წელს ჩვენს წარმატებას საფუძველი იუგოსლავიელებთან პირველმა მოგებამ ჩაუყარა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ის გამარჯვება ძალიან დაგვეხმარა“, — უთხრა ბუნდესმწვრთნელმა ტელეარხ „სატის“ ჟურნალისტს.

კორეა-იაპონიაში ნაკრების ბირთვი კვლავაც იმ მოთამაშეებისგან შეიკვრება, ვინც გასულ შემოდგომაზე პლეი ოფში უკრაინა დაამარცხა. მათ აუცილებლად დაემატება „ჰერტას“ ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი, რომელმაც ის ისტორიული შეხვედრები ტრავმის გამო გამოტოვა. ფიოლერს დაისლერის დიდი იმედი აქვს. ამასთა, მისი თქმით, მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება ეროვნული გუნდის ყოფილ კაპიტანს ოლივერ ბირჰოფს. ბოლოდროინდელი წარუმატებლობას მიუხედავად, ბირჰოფს კვლავაც ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიაო, — დასძენს ფიოლერი.

გერმანელთა მწვრთნელს რუდი ფიოლერს ოლივერ ბირჰოფის ეიმედება

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეათე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი

2002 წელი

I ტური. 7 სექტემბერი
შვეიცარია — საქართველო
რუსეთი — ირლანდია

II ტური. 12 ოქტომბერი
საქართველო — რუსეთი
ალბანეთი — შვეიცარია

III ტური. 16 ოქტომბერი
ირლანდია — შვეიცარია
რუსეთი — ალბანეთი

2003 წელი

IV ტური, 29 მარტი
საქართველო — ირლანდია
ალბანეთი — რუსეთი

V ტური. 2 აპრილი
საქართველო — შვეიცარია
ალბანეთი — ირლანდია

VI ტური. 7 ივნისი
შვეიცარია — რუსეთი
ირლანდია — ალბანეთი

VII ტური. 11 ივნისი
ირლანდია — საქართველო
შვეიცარია — ალბანეთი

VIII ტური. 6 სექტემბერი
საქართველო — ალბანეთი
ირლანდია — რუსეთი

IX ტური. 10 სექტემბერი
ალბანეთი — საქართველო
რუსეთი — შვეიცარია

X ტური. 11 ოქტომბერი
რუსეთი — საქართველო
შვეიცარია — ირლანდია

შაჯი და თეთრი მოედანზე გამოჩნდება?

მარტის ბოლო შესარჩევი მატჩი „შინდისფერებმა“ თბილისში რუმინელებთან წააგეს

სოლომონ გულისაშვილი

15 თებერვალს დუბლინში დამტკიცებულ მეათე ჯგუფის კალენდარს ქართველებისთვის სასარგებლოს ვერაფრით დავარქმევთ. სასარგებლოს კი არა და, უფრო რუსულ-ირლანდიურ ბადეში გახვეულებს ვგავართ. მართალია, თუ მინდორზე არ ივაჟკაცე და მოსაგები არ მოიგე, ვერანაირი კალენდარი ვერ გიშველის, მაგრამ ბოლო ოთხი მატჩიდან რომ სამს სტუმრად ვთამაშობთ და შეჯიბრებას მოსკოვში გასვლით ვამთავრებთ? საბჭოეთის ყოფილ დედაქალაქში ხომ ყოველთვის გვიჭირდა თამაში. კი ბატონო, შეიძლება ვთქვათ, რომ მანამდე საშინაო მატჩებიც გვექნება და თუ შევძელით ასაღებიც მანამდე უნდა ავიღოთ, მაგრამ პრაქტიკით ხომ დამტკიცებულია, რომ მთავარი ამბები სწორედ ბოლო ტურებში ხდება ხოლმე, თუ გაზაფხულზე დაკარგულს როგორმე ეშველება, შემოდგომაზე თითო ქულას ოქროს ფასი ედება და სწორედ ამ დროს უშუალო კონკურენტებთან, ირლანდიასთან და რუსეთთან სტუმრად უნდა ვითამაშოთ. კალენდრის ავ-კარგიც ასეთი წვრილმანებისგან შედგება. ხომ იზრდება იმის ალბათობა, რომ უმეტეს ქულებს სწორედ ბოლოსკენ დავკარგავთ? ღმერთმა ინებოს და ყველას მოვუგოთ, მაგრამ, ჩანს, ამ დროისათვის ჯგუფიდან გასვლის შანსი უკვე დაკარგული გვექნება და ამ შეხვედრებს ისევ მომავალი ციკლისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ, ციკლისთვის, როცა ჩვენი ნაკრების ლიდერთა უმრავლესობა უკვე ოცდაათს გადაცილებული იქნება. აბა, დღეს ვინ იტყვის რა მოხდება, მაგრამ კალენდრიდან ასე ჩანს.

ეს ჩვენი გაკვირვება ცუდ-უბრალო გამოკიდებად რომ არავინ ჩამოგვართვას, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ. გაისად მარტში თბილისში ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტ ირლანდიას უნდა დავუხვდეთ. თითქოს არაფერი, მაგრამ „შინდისფერებს“ მარტში ჯერ არც ერთი შესარჩევი შეხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრა არ მოუგიათ (1995-ში გერმანიასთან 0:2, 1999-ში სლოვენიასთან 1:1 და 2001-ში რუმინეთთან 0:2...). გასაგებია, სამხრეთული ქვეყანა ვართ და წელიწადის ამ დროს თბილისში თამაში ჯობს, მაგრამ არ შეიძლებოდა სხვა ვარიანტი აგვერჩია და უფრო დაბალი კვალიფიკაციის გუნდთან გვეთამაშა? რუსებმა ხომ გაიტანეს თავისი, აკი მათმა მწვრთნელმა მიხაილ გერშკოვიჩმა თქვა: მშვენიერი კალენდარია, შინ ვიწყებთ და ვამთავრებთ. თანაც მარტში მხოლოდ ერთხელ და ისიც სტუმრად ალბანეთთან ვთამაშობთ. შარშან ამ დროს სლოვენიასა და ფარერებს ვუმასპინძლეთ და არცთუ კარგი მოგონებები დაგვრჩაო.

ვაჩესლავ კოლოსკოვი, რუსთა ფეხბურთის თავკაცი ამატებს: ჩვენ ვითხოვეთ მარტში შინ არ გვეთამაშა, ირლანდიელებს კი დუბლინში სექტემბერში არ სურდათ ბურთაობა. არავინ შეგვწინააღმდეგებია და არც სხვა ვარიანტები შემოუთავაზებიათო.

გამოდის, ყველა ნაკრებს აქვს რაღაც პერიოდები, როცა თამაში მიზეზთა გამო არ აწყობს, ჩვენთვის კი, ეტყობა სულ ერთია, ვისთან და როდის ვითამაშებთ.

კიდევ, რუსეთი რომ შემოდგომაზე ტრადიციულად ძლიერია ბოლო ორი შესარჩევი ციკლის შედეგებში ჩახედვაც დაგვარწმუნებს. ახლა ისინი ბოლო ორ შეხვედრას მოსკოვში გამართავენ და ამით დანარჩენებთან უკვე დიდი უპირატესობა აქვთ.

კალენდრის უამრავ სხვა ვარიანტზეც შეგვეძლო გვესაუბრა, მაგრამ ახლა ეს მთავარი არ არის და მომცდარი კაცის ჩხირკედელობას უფრო დაემსგავსება. გასაკვირი ის არის, ულაპარაკოდ რატომ უნდა მიგვეღო რუს-ირლანდიელთა შედგენილი პროექტი? კოლოსკოვი ხომ ამბობს, სარეკორდოდ მცირე დროში, სულ ერთ საათში მოვილაპარაკეთო. მას გერშკოვიჩიც კვერს უკრავს: გამოგიტყდებით, თავიდან მეგონა განხილვა გაიწელებოდა, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი პირიქით მოხდაო.

ცხადია, რუსები კმაყოფილნი იქნებიან, დუბლინში მომზადებულნი ჩავიდნენ და მისალები მიიღეს, ჩვენ კი სტუმრად ვიწყებთ და ვამთავრებთ და ასე შემდეგ...

ამიტომ ვაღიაროთ, ჩვენებმა პირველი ბრძოლა უკვე დათმეს და საკუთარი ოფლისა თუ ნერვების ფასად მოუწევთ დანაკარგის ანაზღაურება. მავანი იტყვის, რა გახდა ეს კალენდარი, დაიწყება ტურნირი და ყველაფერიც იქ გამოჩნდებაო, მაგრამ ნათქვამია, კარგი დასაწყისი ნახევარი საქმეაო და შეჯიბრება ხომ 15 თებერვალს დაიწყო დუბლინში...

ახლა ამხანაგურ მატჩებზეც ვთქვათ. 13 თებერვალს, როცა მთელი ევროპა თამაშობდა, ქართველები რუს-ირლანდიელთა დაზვერვით დაკმაყოფილდნენ, არადა ყველა ჩვენმა თანაჯგუფელმა მოსინჯა ძალა. ყველამ სათავისო გამონახა, შვეიცარიამ უნგრეთი, ალბანეთმა ლუქსემბურგი. ალხანას ჩალხანა არ დაელევაო, ნათქვამია და ლიხტენშტაინი და ფარერებიც კი ერთმანეთს გაეჯიბრნენ. ჩვენ კი... გასაგებია, რომ ამხანაგური მატჩები ადრევე იგეგმება და ძლიერ ნაკრებს თბილისში ვერ ჩამოიყვან, რადგან ამას დიდი ფული სჭირდება, რაც, ცხადია, ჩვენს ფედერაციას არ გააჩნია და აბა, ამაზე ხმას ვინ ამოიღებს. ისიც გასაგებია (?!), რომ მიზეზთა გამო ბრაზილიას, მექსიკას და ვენესუელას უარი შევუთვალეთ, მაგრამ არ შეიძლებოდა მეზობლებთან, სომხეთთან ან აზერბაიჯანთან, ანაც რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის ნაკრებთან გვეთამაშა? ამ დროს ხომ მთავარი შეკრება, შეთამაშება და რაღაც-რაღაცების დახვეწაა, მითუმეტეს, რომ პრობლემები საკმაოდ გვაქვს.

წლეულს „შინდისფერები“ პირველად აპრილში შეიკრიბებიან და უკრაინელებს შეხვდებიან. სპარინგ-მატჩების ბედი მერეც გაურკვეველია. არადა, შეიძლება ეროვნული გუნდი ნახევარ წელიწადს უქმობდეს? უხეირო კალენდართან ერთად ესეც უკვე ჩვენს თანაჯგუფელებთან ჩამორჩენაა. საკითხავი ის არის, თუ ალბანეთი ახერხებს, ქართველებს რაღა დაგვემართა?

ვის ბრალია?

გაზეთ „იზვესტიის“ საინტერნეტო გვერდზე „მკითხველთა აზრის“ რუბრიკა არსებობს, სადაც ნებისმიერს შეუძლია აზრის გამოთქმა. ჰოდა, უნდა გენახათ რა ამბავი ატყდა წილისყრის მერე. ცხადია, საქმე რუს-ქართველთა მომავალ შეხვედრებს ეხებოდა. იქიდან რუსებმა ამოიდგეს ენა, აქედან ქართველებმა და იყო „ტკბილ-ტკბილი“ წერილების ცვენა. ხალხი ამ მატჩებისთვის აქედანვე ემზადება და ნურავინ იტყვის, რა მნიშვნელობა აქვს, რუსებს ვეთამაშებით თუ ჰოლანდიელებსო.

გაიხსენეთ რა ხდებოდა 1998 წლის 30 მაისს „ეროვნულზე“, როცა რუსები ამხანაგურად სათამაშოდ გვეწვივნენ. ხალხი ბრძოლას ითხოვდა, ერთი ჩემი ნაცნობი, რომელსაც ჭიქა ღვინის ხვეწნით თუ დაალევინებ, სტადიონზე კონიაკით სავსე მთარით მოვიდა, ძალიან ენერვიულობ და თამაშს ფხიზელი ვერ შევხედავო. მინდორზე კი რაც მოხდა, კარგად გეხსომებათ, უჯიგრო და მოსაწყენი ბურთაობა ადრევე ნაწინასწარმეტყველები ფრით (1:1) დამთავრდა.

ნუთუ ისტორია გამეორდება?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგა

ბოლმა გადმოანთხიეს... მიწა დააყარეს... თავზე წამოასხდნენ...

კობა ინასარიძე

ORთვიანი უქმობის შემდეგ ევროპას ლიგა დაუბრუნდა. დაუბრუნდა ჩვეულად, ეშხიანი ბურთაობითა და ტოტალიზატორებში გაწაფულთათვის გამოუცნობი შედეგებით.

A ჯგუფის ბობოლებმა, „მანჩესტერმა“ და ბოლო ხანს თავის თამაშდაკარგულმა „ბაიერნმა“ წინასწარ განწირულთ „ნანტსა“ და „ბოავიშტას“ სტუმრად ვერაფერი მოუხერხეს და უკან ოდენ ქულით დაბრუნდნენ. ეგ რა სათქმელია და, მანჩესტერელთა მეგოლე ვან ნისტერლოის უამრავთაგან ბოლო, ბოლო წუთზე მსაჯისგან ბოძებული შანსიც ქარისთვის რომ გაეყოლებინა, სერ ალექსის შეგირდები მთლად მშრალზე დარჩებოდნენ და სამ ქულას ნანტში და ჩინებულად მოთამაშე მეკარე ლანდროსთან დატოვებდნენ. თუმც კი ინგლისურმა გრანდმა ბოლმა წინა საშშაბათს გადმოანთხია და „ოლდ ტრეფორდიდან“ იგივე ლანდრო შინ ხუთი გოლით გაბრუებული გააბრუნა.

„რომამ“ „ბარსელონას“ მიაყარა მიწა და პირველად მორგებული „მაზალო“ ფორმა კატალონიელებს კიდევ უფრო გაუუფერულა. „კამპ ნოუზე“ გატანილმა კლუივერტის გოლმა რომაელები „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაახელა. ემერსონის რიკოშეტით შეგდებულ პირველ გოლს, მონტელამ და ტომაზიმ ისეთები მიაყოლეს, თქვენი მოწონებულიო, რომ ითქმის. „ლივერპულმა“ კი თურქ ფაფარაშლილ „ლომთა-ლომებს“ ვერაფერიც დააკლო. გამოუყენებლი მომენტების სანაცვლოდ კი სულ ორი ქულა შეიმატა.

სიკვდილისად წოდებულ D ჯგუფში, როგორც ჩანს, ერთი უკვე ჩაიძირა. ტოპმოლერის რჩეულ ლევერკუზენელ ჯეელებს „არსენალმა“ გადაურბინა. ბერხკამპის ულამაზეს გოლს, სებესკენმა ულამაზესივე მიაყოლა, მაგრამ იქამდე ლონდონელ მეთოფეებს გერმანელები სამჯერ ჰყავდათ კედელზე მიყუდებულნი. ლა კორუნიელმა ბრაზილიელმა ჯალმინიამ „იუვენტუსთან“ გაიხსენა გოლის გატანა რომ იცის და ტურინელები ცხრილში „ბაიერს“ დაუმეზობლა.

„რეალი“ კი... „რეალი“ ფიგუს ზიდანისა და რაულის გარეშეც „რეალად“ რჩება. მადრიდელები პორტუს ესტუმრნენ, სამი ქულა ჩაიჯიბეს და პორტუგალიელებთან ერთად მეორე ეტაპის დამთავრებამდე „პანათინაიკოსსა“ და ჩეხური „სპარტას“ თავზე წამომსხდრები დარჩებიან.

რომაელ კრისტიან პანუჩის ბარსელონელმა ფილიპ კოკუმ ჯავრისგან ლამის წიხლი ამოჰკრა

კამერუნელები: პატრიკ მბომა (მარცხნივ), პიუ ნდიეფი (11) და ლუსიენ მეტომო (13) აფრიკის ეროვნებათა თასით

ლომთა მეფობა

მალიში გამართულ აფრიკის ეროვნებათა თასის 23-ე გათამაშებაში კამერუნის ნაკრებმა ექვსიდან ხუთი მატჩი მოიგო და თუ ფინალში მატჩისშემდგომ პენალტებს არ ჩავთვლით, გოლიც არ გაუშვია. ჯგუფში გერმანელი ვინფრიდ შეფერის დამოძღვრილმა კამერუნელმა „მოუთვინიერებელმა ლომებმა“ აჯობეს კონგოს დემოკრატულ რესპუბლიკას 1:0, კოტ დივუარს 1:0 და ტოგოს 3:0, მეოთხედფინალში ეგვიპტეს 1:0, ნახევარფინალში მასპინძელ მალის 3:0, ხოლო სენეგალთან გადაძწყვეტი თამაში 0:0 დამთავრდა და პენალტებით კამერუნელებმა 3:2 გაიმარჯვეს.

ამრიგად, კამერუნი ზედიზედ მეორედ გახდა აფრიკაში საუკეთესო, თანაც განსთან და ეგვიპტესთან ერთად ჯამში ოთხი ტიტულით შავი კონტინენტის რეკორდის თანამფლობელიც შეიქნა.

ტურნირის ბომბარდირები 3-3 გოლით „მოუთვინიერებელი“ პატრიკ მბომა და სალომონ ოლემბე, ასევე ნიგერიელი ჯულიუს აგაოვა გახდნენ.

და კიდევ, კამერუნელებმა საფეხბურთო აღკაზმულობაში ახალი მოდა შემოიტანეს, მთელი შეჯიბრების მანძილზე უსახელო მაისურებით თამაშობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ გურასაშვილი სოლტ ლეიკ სიტიდან

ვიქტორ გურასაშვილი სოლტ ლეიკ სიტიდან

ვიქტორ გურასაშვილი სოლტ ლეიკ სიტიდან

რუსთა სკანდალების ოლიმპიადა

ავთანდილ გურასაშვილი

ნიუ-იორკში შარშანდელი უდიდესი ტერორისტული აქტის მერე სოლტ ლეიკ სიტში ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვის საქმეს წყალი შეუდგა, მაგრამ მსოფლიოს ამ უდიდესი ასპარეზობის უსაფრთხოებისთვის დამატებით გამოყოფილმა 300 მილიონამდე დოლარმა „თეთრი ოლიმპიადა" იხსნა. თუმცა, ბევრმა ტურისტმა ბინ ლადენის თავზე ხელაღებული ბიჭების შიშით ამერიკაში ჩასვლა მაინც ვერ გბედა. ასე იყო თუ ისე, ოლიმპიურ ქალაქში ყველა ფხიზლობდა. ფხიზლობდა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, მით უმეტეს, რომ იქ, მორმონთა მხარეში, ალკოჰოლიანი სასმელები კანონით იკრძალება, თუმცა ახლა სტუმრების ხათრით თვალი დახუჭეს. დახუჭეს და სწორედ მაშინ, როცა ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალისთვის ემზადებოდნენ, სოლტ ლეიკ სიტის ქუჩებში ორასამდე შეზარხოშებულმა აყალმაყალი ატეხა, რასაც კანონის დამრღვევთა და პოლიციელთა შორის დიდი შეტაკება მოჰყვა. ლოთი შფოთისთავები პოლიციელებს ქვებს უშენდნენ, ეს უკანასკნელნი კი ხურდას რეზინის ტყვიებით უბრუნებდნენ, რაც 30-მდე კაცის დატუსაღებით დამთავრდა.

საბოლოოდ ეს ოლიმპიადაც მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა, როგორც ფრანგული გაზეთი „ლე დიმანში" წერდა, ასპარეზობა კიდევ ერთი კვირაც რომ გაგრძელებულიყო, უთუოდ მესამე მსოფლიო ომი ატყდებოდა. ამ ომში მთავარი დამრტყმელი ძალა რუსეთი და აშშ იქნებოდნენ, დანარჩენი ოკეანის გაღმა-გამოღმა მდებარე სახელმწიფოები კი, ვინ იცის, ვის მხარეს დადგებოდნენ.

ოლიმპიური თამაშების ისტორიას ახსოვს „ქაოსების" ოლიმპიადაც, ახსოვს „ნაციზმის სულით გაჟღენთილი", „პროტესტების", „მსაჯთა პროტესტების", „ტერაქტებისა" და „ბოიკოტების" ოლიმპიადებიც. სოლტ ლეიკ სიტის „თეთრი ოლიმპიადაც" შავ ლაქად დარჩება ამ თამაშების მატიანეში, სადაც იგი ალბათ „რუსთა სკანდალების" ოლიმპიადის სახელით შევა.

სკანდალების სერიას სათავე დაუდო კანადელ სალე-ჰელეტიეს მოცეგურავეთა წყვილმა, რომელიც სიხარულიძისა და ბერეჟნაიას „დუეტს" ოქროს მედლებს შეეცილა. დიდი აურზაურის მერე უპრეცედენტო გადაწყვეტილებით მეორე ადგილზე გასული კანადელთა წყვილიც ჩემპიონად გამოაცხადეს.

მაგრამ აჟიოტაჟი ჩაცხრობის ნაცვლად უფრო გაძლიერდა. ახალ-ახალი სკანდალების ტალღამ ამერიკის ტელეეკრანები წალეკა. მას მხარი აუბეს რუსეთისა და სხვა ქვეყნების ტელეარხებმაც — ხან მსაჯთა მიკერძოებაზე ლაპარაკობდნენ, ხან დოპინგსკანდალებზე. უმეტესად რუსეთის სპორტსმენებს ახსენებდნენ და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ოლიმპიადის მიტოვებითაც იმუქრებოდნენ. ამ ხმაურში ოლიმპიური თამაშების მეტად საინტერესო შეჯიბრებები ლამის დაივიწყეს.

დროთა განმავლობაში ვნებათაღელვა, ალბათ ჩაცხრება, ისტორიას კი შემორჩება ჩემპიონთა სახელები, რომელთა ტიტულებს არასოდეს დაემატება პრეფიქსი „ექს", რადგან ოლიმპიური ჩემპიონი სიკვდილის შემდეგაც ოლიმპიური ჩემპიონია.

ყველა ოლიმპიური ჩემპიონი გმირია, მაგრამ მათ შორისაც არიან გამორჩეულები. ასეთები არიან, მაგალითად, სოლტ ლეიკ სიტის თამაშების ოთხგზის გმირი, ნორვეგიელი ბიათლონისტი ოლე ეინარ ბიორნდალენი, ხორვატი სამთომოთხილამურე, სამი

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელობა სოლტ ლეიკ სიტის მერმა როკი ანდერსონმა მიიღო. სტუმრებმა მასპინძელი მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის ნამუშევრით დაასაჩუქრეს, ანდერსონმა კი ქართველები ოლიმპიური ჩირაღდნით გამოისტუმრა. მარცხნიდან: სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, როკი ანდერსონი და სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე

ვიქტორ გურასაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

იანიცა კოსტელიჩმა სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მოპოვებით ხორვატიის დროშა ყველაზე მაღლა აფრიალა

„ოქროსა“ და ერთი „ვერცხლის“ მომპოვებელი იანიცა კოსტელიჩი, ჰოლანდიელი მოციგურავე იოჰემ უტდეჰააგე, ვინც ამ თამაშებზე ორ ოქროს და ერთ ვერცხლის მედალს ორი მსოფლიოს რეკორდიც დაუმატა.

ასეთივე ჯილდოები მოიპოვა შვეიცარიელმა ტრამპლინიდან მხტომელმა სიმონ ამანმა. ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტი ამერიკაში მოპოვებული ორი ოქროს მედლის წყალობით სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და თავისი ჯილდოების რიცხვი (3-3 ოქრო და ვერცხლი, ერთიც ბრინჯაო) ალბერვილის თამაშებიდან მოყოლებული, შვიდამდე გაზარდა.

სოლტ ლეიკ სიტიში ორი ოქროს მედალი მოიპოვა ესპანელმა ბარის მოთხილამურე იოჰან მულეგმა. ერთი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ავსტრიელმა სამთომოთხილამურემ შტეფან ებერჰარტერმა.

არაოფიციალურ კომპლექსურ ჩათვლაში ყველა განზომილებით პირველნი იყვნენ გერმანელები, რომლებსაც ჯამში 35 მედალი დაუგროვდათ, აქედან 12 ოქროსი, 16 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოსი, რაც ამგვარი თამაშების ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელი აღმოჩნდა. მანამდე რეკორდსმენი იყო საბჭოთა კავშირი, რომელმაც 1988 წელს კალგარის თამაშებზე 29 მედალი მოიპოვა, ახლა კი მისი მემკვიდრე რუსეთი მედლების სიმრავლით მხოლოდ მეხუთე აღმოჩნდა.

მედლების ხარისხობრივი მაჩვენებლებით მეორე იყო ნორვეგიის ოლიმპიური გუნდი, რომლის წევრებმაც 11 პირველი, 7 მეორე და 6 მესამე ადგილი დაიკავეს.

ამერიკელებმა ჯამში ნორვეგიელებზე ათით მეტი (34) მედალი მოიპოვეს, მაგრამ ერთი ოქროთი სკანდინავიელებს მაინც ჩამორჩნენ, სამაგიეროდ მეორე (13) და მესამე (11) ადგილების რიცხვით მნიშვნელოვნად დაწინაურდნენ.

ოლიმპიურ თამაშებზე საპრიზო ადგილები სულ 25 ქვეყანას ხვდა, 55 სახელმწიფო კი უმედლოდ დარჩა, მათ შორის საქართველოც. ჩვენმა სამთომოთხილამურეებმა სოფიკო ახმეტელმა და რობერტ მახარაშვილმა ბოლო ადგილები დაიკავეს, ტრამპლინიდან მხტომელი კახა წაქაძე ბოლოსწინა აღმოჩნდა, ვახტანგ მურვანიძე კი ფიგურულ ციგურაობაში მე-17 იყო, რაც მას წარმატებად ჩაეთვალა.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი სპორტსმენები სოლტ ლეიკ სიტში უფრო წარუმატებლად გამოვიდნენ, ვიდრე ნაგანოში, სადაც ზურაბ ჯიჯიშვილი სწრაფდაშვებაში მე-12 იყო, სლალომისა და დაშვების ჯამში კი მე-14 აღმოჩნდა.

REUTERS

ლეგენდარულმა უეინ გრეცკიმ ვერა და ვერ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი, მაგრამ 50-წლიანი პაუზის მერე ეს მისი მენეჯერობით მისივე თანამემამულეებმა შეძლეს

REUTERS

REUTERS

REUTERS



დიდი ოლიმპიური სკანდალის მონაწილენი: ელენა ბერეჟნაია — ანტონ სიხარულიძე (მარცხნივ) და ჟანი სალე — დევიდ პელეტიე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლეე ჰოპ!

და ოლე ეინარ ბიორნდალენი სოლტ ლეიკ სიტის გმირია



ის ღრუბლიანი დღე ოლე ეინარ ბიორნდალენისთვის ყველაზე ნათელი და ბრწყინვალე აღმოჩნდა. როცა ამ ბიათლონისტმა ბოლო ეტაპზე ესტაფეტა ჩაიბარა, მისმა თანამემამულეებმა უფრო ძალუმად ააფრიალეს ნორვეგიის დროშები და ხმის ჩახლეჩამდე დააგუგუნეს: „ოლე!" „ოლე!"

და ოლემაც გაამართლა ქომაგთა იმედი. იგი პირველი მიიჭრა ფინიშთან, იქ კი სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი უმალ თანაგუნდელებმა აიტაცეს და მხრებზე შეისვეს. ბიორნდალენმა ბიათლონის ოთხივე ოქროს მედალი მოიპოვა და ამ სახეობის ისტორიაში პირველი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. რაღა თქმა უნდა, ყველამ ერთხმად შერაცხა სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის ჭეშმარიტ გმირად ეს ვიკინგი, რომელმაც მანამდე ნაგანოს „თეორ თამაშებზეც" გაიმარჯვა და ვერცხლის მედალიც მოიპოვა.

ამგვარად, ბიორნდალენი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ხუთგზის ჩემპიონია. მანამდე „თეორ ოლიმპიადაზე" ვაჟთაგან ამდენი ოქროს მედალი მხოლოდ ამერიკელ მოცეკვავე ერიკ ჰეიდენს ჰქონდა მოპოვებული.

არადა, როგორც თავად თქვა, ბიორნდალენს ასეთ გამარჯვებაზე არც უფიქრია.

— ჩემპიონობისთვის ბრძოლა ათ-თხუთმეტ კაცს შეეძლო. ამიტომ, გულწრფელად გეუბნებით, ერთი ოქროს მედლითაც კმაყოფილი ვიქნებოდი, — სკანდინავიური თავდაჭერილობით ამბობს ტრიუმფატორი. — ოთხი რბოლა კარგად ჩავატარე და ამიტომაც ახლა ოთხი ოქროს მედალი მაქვს. მაგრამ ყველა ჯილდო განსხვავებულ ბრძოლაში მოვიპოვე. პირველი ოქრო, რომელიც ინდივიდუალურ რბოლაში დავიმსახურე, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან იმ გამარჯვებამ ოლიმპიადა, როგორც იტყვიან, მაჟორულ ნოტაზე დამაწყებინა. სპრინტში ძალზე სწრაფად ვირბინე, თუმცა არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. საქმე ის არის, რომ სტარტი ერთ-ერთმა ბოლომ ავიღე, რაც საერთოდ არ მეჭაშნიკება, მაგრამ თხილამურები თითქოს თავისით მისრიალებდა. სროლშიც ბოლომდე შევძელი კონცეტრირება. გამოდევნებით რბოლაში, რა თქმა უნდა, იღბალი ჩემს მხარეს იყო — შეჯიბრებამდე თავს კარგად ვერ ვგრძნობდი, დაღლილი ვიყავი, მაგრამ გამიმართლა. ჩემში განსაკუთრებულ გრძნობას იწვევს ბოლო, მეოთხე ოქროს მედალი, რომელიც ესტაფეტაში თანაგუნდელებთან ერთად მოვიპოვე. ამ ესტაფეტაში გამარჯვება ყველა დანარჩენზე იოლად მოვიდა, რადგან თანაგუნდელებმა ყველაფერი გააკეთეს პირველობის მოსაპოვებლად. მე, შეიძლება ითქვას, საქმე აღარ დამიტოვეს და ესტაფეტა დიდი უპირატესობით ჩავიბარე. რადგან მშვენიერ ფორმაში გახლდით და ასეთივე განწყობილებაც მქონდა, საბოლოო წარმატებაში დარწმუნებული ვიყავი. თუმცა, რბოლა დავიწყე თუ არა, წავიქეცი და სათხილამურო ჯოხი გამიტყდა. ასე რომ, ერთხანს სახუმაროდ აღარ მქონდა საქმე, მერე კი ჯოხი მომცეს და ფინიშთანაც იოლად მივედი.

არადა, ოლე ეინარ ბიორნდალენს ესტაფეტაში თანაგუნდელებთან ერთად გამარჯვებისა სულაც არ სჯეროდა. ამბობდა, ამ საქმის დიდოსტატები გერმანელები არიანო. ალბათ ნაგანოს ოლიმპიური თამაშები თუ ახსენდებოდა, სადაც გამარჯვებულმა გერმანელებმა ნორვეგიელებს მთელი 20 წამით აჯობეს.

ასე იყო თუ ისე, ბიორნდალენმა სოლტ ლეიკ სიტიში თავისი თავდაპირველი გატაცება გაიხსენა, თხილამურებით რბოლაშიც გამოვიდა, მაგრამ 30 კილომეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობისას ფინიშთან მეექვსე მივიდა. ბევრი ფიქრობდა, რომ ბიორნდალენს ამ სახეობაში მოესტაფეტეთა გუნდში შეიყვანდნენ და მეხუთე ოქროს მედლის მოპოვების შანსს მისცემდნენ, მაგრამ ნორვეგიელებმა უიმისოდ იზეიმეს ჩემპიონობა.

— ის რომ ესტაფეტაში არ ჩამრთეს, მხოლოდ ერთს ნიშნავს: საამისოდ საკმარისად არ ვიყავი მომზადებული, მაგრამ ამით გაწბილებული სულაც არა ვარ, — თქვა პრესკონფერენციაზე ბიორნდალენმა და დასძინა: — სათხილამურო რბოლების ტაქტიკაში მოვიკოჭლებ, აქ ცუდად ვიცნობ მეტოქეებს, მასობრივ სტარტზე კი ვიბნევი.

და მაინც, სათხილამურო რბოლა და მოტოციკლეტით ქროლვა ამ ტრონდჰეიმელი 28 წლის ვიკინგისთვის უპირველესი გატაცებაა. სპორტში ვარჯიში სულაც სათხილამურო რბოლით დაიწყო, როცა თორმეტი წლის იყო, თექვსმეტისამ კი ნორვეგიის პირველობაზე თანატოლთა შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საბოლოოდ მაინც ბიათლონმა გაიტაცა, შეიძლება იმიტომ, რომ ამ სახეობაში მისი უფროსი ძმა დაგი ვარჯიშობდა და წარმატებებსაც აღწევდა. სულ მალე ძმის მსგავსად ოლეც მიიწვიეს ნორვეგიის ეროვნულ ნაკრებში, სადაც წარმატებას წარმატება მოსდევდა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ოლეს ერთ-ერთი მეტოქე მისივე ძმა იყო, ხოლო ესტაფეტებში ერთად იცავდნენ ნორვეგიის სპორტულ ღირსებას. ასე იყო ნაგანოშიც, სადაც ოლემ 10 კილომეტრზე რბოლაში თავისი პირველი ოლიმპიური „ოქრო" მოიპოვა, ესტაფეტაში კი ეგილ გიულანდთან, ჰალვარდ ჰანევოლდთან და ძმასთან ერთად ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ამ წარმატებებმა ოლე ეინარ ბიორნდალენს ფრთები უფრო შეასხა. სოლტ ლეიკ სიტის თამაშებისთვის იტალიის მთებში ხშირმა გადახვეწამ ნორვეგიელს, ეს უკვე ვიცით. მისი ტრიუმფის მერე პრესკონფერენციაზე იმითაც დაინტერესდნენ, სროლა ერთ დროს თქვენთვის აქილევსის ქუსლი რომ იყო, ახლა ეს საქმე კოზირად როგორ გადაგექცათო.

— ამისთვის ბევრს ვვარჯიშობ. ვცდილობ ცეცხლის ხაზზე მაქსიმალურად კონცეტრირებას ამას მირჩევს ჩემი ფსიქოლოგი ევინ ჰამერი, ვისთანაც ბოლო ექვსი წელიწადია ვმუშაობ. საერთოდ, სროლა ბიათლონს განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს და ამ სახეობაში სწორედ ეს მიზიდავს.

კვარცხლბეკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიათლონი

ქალები. 15 კმ. ინდივიდუალური. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) — 47.29,1 ლიკ გრეტე პუარე (ნორვეგია) — 47.37,0, მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) — 48,08;

სპრინტი 7,5 კმ. კატი ვილჰელმი (გერმანია) — 20.41,4, უშლი დიზლი (გერმანია) — 20.57, მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) — 21.20,4;

10 კმ გამოდევნებით. ოლგა პილევა (რუსეთი) — 31.07,7, კატი ვილჰელმი (გერმანია) — +5,3, ირინა ნიკულჩინა (ბელარუსი) — +8,1;

ესტაფეტა. 4X7,5კმ. გერმანია — 1:27,55, ნორვეგია — 1:28.25,6, რუსეთი — 1:29,7;

ვაჟები. 20 კმ ინდივიდუალური. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) — 51.03,3, ფრანკ ლუკი (გერმანია) — 51.39,4, ვიქტორ მაიგუროვი (რუსეთი) — 51.40,6;

10 კმ სპრინტი. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) — 24.51,3, სვენ ფიშერი (გერმანია) — 25.20,2, ვოლფგანგ პერნერი (ავსტრია) — 25.44,4;

12,5 კმ გამოდევნებით. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) — 32.34,6, რაფაელ პუარე (საფრანგეთი) — +43,0, რიკო გროსი (გერმანია) — +56,0;

ესტაფეტა. 4X7,5 კმ. ნორვეგია — 1.41,96, გერმანია — 1.42,01, საფრანგეთი — 1.42,15.

ტრამპლინიდან ხტომა

90-მეტრიანი. ინდივიდუალური. სიმონ ამანი (შვეიცარია) — 269,0 ქულა, სვენ ჰანავალდი (გერმანია) — 267,5, ადამ მალიში (პოლონეთი) — 263,0... 58-ე კახა წაქაძე (საქართველო);

120-მეტრიანი. ინდივიდუალური. სიმონ ამანი (შვეიცარია) — 281,4 ქულა, ადამ მალიში (პოლონეთი) — 269,7, მატი ჰაუტამაეკი (ფინეთი) — 256... კახა წაქაძე (საქართველო);

120-მეტრიანი. გუნდური. გერმანია — 974,1, ფინეთი — 974, სლოვენია — 946,3.

სამთო თხილამურაობა

ქალები. სწრაფდაშვება. კაროლ მონტილე (საფრანგეთი) — 1.39,56, იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 1.40,01, რენატე გოეჩელი (ავსტრია) — 1.40,39;

კომბინაცია (სწრაფდაშვება და სლალომი). იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 2.43,28, რენატე გოეჩელი (ავსტრია) — 2.44,77, მარტინა ერტლი (გერმანია) — 2.45,16;

სუპერგიგანტი. დანიელა სესარელი (იტალია) — 1.13,59, იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 1.13,64, კარენ პუტცერი (იტალია) — 1.13,86;

სლალომი. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 1.46,10, ლაურა პეკინიო (საფრანგეთი) — 1.46,17, ანია პაერსონი (შვედეთი) — 1.47,09... სოფიკო ახმეტელი (საქართველო) — დისკვალიფიკაცია;

გიგანტური სლალომი. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 2.30,01, ანია პაერსონი (შვედეთი) — 2.31,33, სონია ნეფი (შვეიცარია) — 2.31,61.

ვაჟები. სწრაფდაშვება. ფრიც შტრობლი (ავსტრია) — 1.39,13, ლასე კიუსი (ნორვეგია) — 1.39,53, შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 1.39,39;

კომბინაცია (სწრაფდაშვება და სლალომი). კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 3.17,84, ბოდე მილერი (აშშ) — 3.17,84, ბენიამინ რაიხი (ავსტრია) — 3.18,26;

სუპერგიგანტი. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 1.21,58, შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 1.21,68, ანდრეას შიფერერი (ავსტრია) — 1.21,83;

გიგანტური სლალომი. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 2.23,28, ბოდე მილერი (აშშ) — 2.24,16, ლასე კიუსი (ნორვეგია) — 2.24,32;

სლალომი. ჟან პიერ ვიდალი (საფრანგეთი) — 1.41,06, სებასტიენ ამიე (საფრანგეთი) — 1.41,82, ელეინ ბაქსტერი (ბრიტანეთი) — 1.42,32.

თხილამურობა

ქალები. თავისუფალი სტილი. 15კმ. სტეფანია ბელმონდო (იტალია) — 39.54,4, ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — 39.56,27, კატერინა ნეუმანოვა (ჩეხეთი) — 40.01,3

კლასიკა 10 კმ. ბენტე სკარი (ნორვეგია) — 28.05,6, ოლგა დანილოვა (რუსეთი) — 28.08,1, იულია ჩეპალოვა (რუსეთი) — 28.09,9;

კომბინირებული (გამოდევნება 5 კმ. კლასიკა 5 კმ. თავისუფალი). ოლგა დანილოვა (რუსეთი) — 24.52,13, ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — 24.59,01, ბეკი სკოტი (კანადა) — 25.09,90;

სპრინტი, 1,5 კმ. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) — 3.10,6, ევი ზახენბახერი (გერმანია) — 3.12,2, ანიტა მოინი (ნორვეგია) — 3.21,7;

ესტაფეტა 4X5 კმ. გერმანია — 49.30,6, ნორვეგია — 49.31,9, შვეიცარია — 50.03,6;

კლასიკა 30 კმ. გაბრიელა პარუმი (იტალია) — 1:30.57,1, სტეფანია ბელმონდო (იტალია) — 1:31.01,6, ბენტე სკარი (ნორვეგია) — 1:31.36,3.

ვაჟები. თავისუფალი სტილი 30 კმ. იოჰან მულეგი (ესპანეთი) — 1:09.28,9, კრისტიან ჰოფმანი (ავსტრია) — 1:11.31,0, მიხაილ ბოტვინოვი (ავსტრია) — 1:11.32,3;

კლასიკა 15 კმ. ანდრუს ვეერპადუ (ესტონეთი) — 37.04,4, ფროდე ესტილი (ნორვეგია) — 37.43,4, ააკ მაე (ესტონეთი) — 37.50,8;

კომბინირებული (გამოდევნება. თავისუფალი სტილი 10 კმ. კლასიკა 10 კმ). I იოჰან მულეგი (ესპანეთი) — 49.20,4, II თომას ალსგაარდი (ნორვეგია) — 49.48,9, II ფროდე ესტილი (ნორვეგია) — 49.48,9;

ესტაფეტა: 4X10 კმ. ნორვეგია — 1:32.45,5, იტალია — 1:32.45,8, გერმანია — 1:33.34,5;

სპრინტი 1,5 კმ. ტორნ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) — 2.56,9, პეტერ შლიკენრიდერი (გერმანია) — 2.57,0, კრისტიან ძორძი (იტალია) — 2.57,2;

კლასიკა 50 კმ. მიხაილ ივანოვი (რუსეთი) — 2:06.20,83, ანდრუს ვეერპალე (ესტონეთი) — 2:06.44,5, ოდ ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) — 2.08.41,5.

ბობსლეი

ქალები. ორადგილიანი. ჯილ ბაკენი — ვონეტა ფლაუერსი (აშშ) — 1.37,76, სანდრა პროკოფი — ულრიკე ჰოლცერი (გერმანია) — 1.38,06, სუზი ერდმანი — ნიკოლ პერშმანი (გერმანია) — 1.38,29;

ვაჟები. ორადგილიანი. კრისტოფ ლანგერი — მარკუს ციმერმანი (გერმანია) — 3.10,11, სტივ ანდერჰუბი — კრისტიან რეიხი (შვეიცარია — 3.10,20, მარტინ ანენი — ბეატ ჰეფტი (შვეიცარია) — 3.10,62;

ოთხადგილიანი. გერმანია — 3.07,51, აშშ 1 — 3.07,82, აშშ 2 — 3.07,86.

ორჭიდი

ინდივიდუალური. 90 მეტრიანი ტრამპლინი, 15 კმ რბოლა. სამპა ლაინუნენი (ფინეთი) — 267,5, ააკო ტალუსი (ფინეთი) — 257, ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) — 235;

გუნდური ესტაფეტა 4X5 კმ. ფინეთი — 48.42,2, გერმანია — 48.49,7, ავსტრია — 48.53,2;

ინდივიდუალური. 120-მეტრიანი ტრამპლინი, სპრინტი 7,5 კმ. სამპა ლაიუნენი (ფინეთი), რონი აგერმანი (გერმანია), ფელიქს გოტვალდი (ავსტრია).

ფიგურული სრიალი

ქალები. სარა ჰიუზი (აშშ), ირინა სლუცკაია (რუსეთი), მიშელ კვანი (აშშ).

ვაჟები. ალექსეი იაგუდინი (რუსეთი), ევგენი პლუშჩენკო (რუსეთი), ტიმოთი გოებელი (აშშ)... XVII ვახტანგ მურვანიძე (საქართველო);

წყვილები. I ელენა ბერეჟნაია — ანტონ სიხარულიძე (რუსეთი), I ჟამი საიე — დევიდ პელეტიე (კანადა), III სუე შენი, ჰონგბო ჟაო (ჩინეთი);

ცეკვა. მარინა ანისინა — გვენდალ პეიზერა (საფრანგეთი), ირინა ლობაჩევა — ილია ავერბახი (რუსეთი), ბარბარა ფეხარ ჰოლმურიციო მარგალიო (იტალია).

კვარცხლბეკი

ციგურაობა

ქალები. 500 მ. კატრიონა ლიმეი დოუნი (კანადა) — 74,75, მონიკა გარბრეხტ-ენფელდტი (გერმანია) — 74,94, საბინე ფოელკერი (გერმანია) — 75,19;

1000 მ. კრის უიტი (აშშ) — 1.13,83 (მსოფლიო რეკორდი), საბინე ფოელკერი (გერმანია) — 1.13,96, ჯენიფერ როდრიგესი (აშშ) — 1.14,24;

1500 მ. ანი ფრიზინგერი (გერმანია) — 1.54,02 (მსოფლიო რეკორდი), საბინე ფოელკერი (გერმანია) — 1.54,97, ჯენიფერ როდრიგესი (აშშ) — 1.55,32;

3000 მ. კლაუდია პეხშტეინი (გერმანია) — 3.57,70, რენატე გროენკოლდი (ჰოლანდია) — 3.58,94, სინდი კლარენი (კანადა) — 3.58,97;

5000 მ. კლაუდია პეხშტეინი (გერმანია) — 6.46,91 (მსოფლიო რეკორდი), გრეტა შმიტი (ჰოლანდია) — 6.49,22, კლარა ჰიუზი (კანადა) — 6.53,53.

ვაჟები. 500 მ. კეისი ფიცრანდჰოლფი (აშშ) — 69,23, ჰიროუში შიმიცუ (იაპონია) — 69,16, კიპ კარპენტერი (აშშ) — 69,47;

1000 მ. ჯერარდ ვან ველდე (ჰოლანდია) — 1.07,18 (მსოფლიო რეკორდი), იან ბოსი (ჰოლანდია) — 1.07,53, ჯოი ჩიკი (აშშ) — 1.07,61;

1500 მ. დერეკ პარა (აშშ) — 1.43,95 (მსოფლიო რეკორდი), იოჰენ უტდეჰააგე (ჰოლანდია) — 1.44,51, ანდრე სონდრალი (ნორვეგია) — 1.45,26;

5000 მ. იოჰემ ვუტდეჰააგი (ჰოლანდია) — 6.14,66 (მსოფლიო რეკორდი), დერეკ პარა (აშშ) — 6.17,98, იენს ბოდენი (გერმანია) — 6.21,73.

10000 მ. იოჰემ უტდეჰააგე (ჰოლანდია) — 12.58,92 (მსოფლიო რეკორდი), ჯანი რომე (ჰოლანდია) — 13.10,03, ლასე საეტრე (ნორვეგია) — 13.16,92

ციგაობა

ქალები. ერთეულები. შილკე ოტო (გერმანია) — 2.52,464, ბარბარა ნიდერჰუბერნი (გერმანია) — 2.52,785, შილკე კრაუსჰაარი (გერმანია) — 2.52,865;

წყვილები. ალექსანდერ რეხი — პატრის-ფრიც ლაიტნერი (გერმანია) — 1.26,082, ბრაიან მარტინი — მარკ გრიმეტე (აშშ) —1.26,216, კრის ტორპი — კლეი აივსი (აშშ) — 1.26,220;

ვაჟები. ერთეულები. არმინ ზოგლერი (იტალია) — 2.57,941, გეორგ ჰავლი (გერმანია) — 2.58,270, მარკუს პროკი (ავსტრია) — 2.58,283;

წყვილები. პატრიკ ფრიც ლაიტნერი — ალექსანდერ რეში (გერმანია) — 1.26,082, ბრაიან მარტინი — მარკ გრიმეტი (აშშ) — 1.26,216, კრის ტორპი — კლეი აივესი (აშშ) — 1.26,220.

შორტ ტრეკი

ქალები. 500 მ. იანკ იანკი (ჩინეთი) — 44,187, ევგენია რადანოვა (ბულგარეთი) — 44,252, ჩუნლუ ვანკი (ჩინეთი) — 44,272;

1000 მ. იანკ იანკი (ჩინეთი) — 1.36,391, გი ჰიუნ კო (სამხრეთ კორეა) — 1.36,427, იანკ იანკი (ჩინეთი) — 1.37,008.

1500 მ. გი ჰიუნ კო (სამხრეთ კორეა) — 2.31,581, ეუნ კიუნგ ჩოი (სამხრეთ კორეა) — 2.31,610, ევგენია რადანოვა (ბულგარეთი) — 2.31,723;

ესტაფეტა 3000 მ. კორეა — 4.12,793 (მსოფლიო რეკორდი), ჩინეთი — 4.13,236, კანადა — 4.15,738;

ვაჟები. 500 მ. მარკ განონო (კანადა) — 41.802, ჯონათან გილმეტი (კანადა) — 41.994, რასტი სმიტი (აშშ) — 42.027.

1000 მ. სტივენ ბრედბერი (ავსტრია) — 1.29,109, აპოლო ანტონ ონუ (აშშ) — 1.30,160, მეთიუ ტურკოტე (კანადა) — 1.30,563;

1500 მ. აპოლო ანტონ ონო (აშშ) — 2.18,541, ლი ცზიაცზონი (ჩინეთი) — 2.18,731, მარკ განონი (კანადა) — 2.18,806;

ესტაფეტა 5000 მ. კანადა — 6.51,579, იტალია — 6.56,327, ჩინეთი — 6.59,633.

სნოუბორდი

ქალები. ჰაფპაიპი. კელი კლარკი (აშშ) — 47,9, დორიან კიდალი (საფრანგეთი) — 43,0, ფაბინა როიტელერი (შვეიცარია) — 39,7;

პარალელური გიგანტური სლალომი. იზაბელ ბლანი (საფრანგეთი), კარენ რუბი (საფრანგეთი), ლიდია ტრეტელი (იტალია);

ვაჟები. ჰაფპაიპი. როს როვერსი (აშშ) — 46,1 ქულა, დენი კასი (აშშ) — 42,5, ჯერეტ ტომასი (აშშ) — 42,1;

პარალელური გიგანტური სლალომი. ფილიპ შლოხი (შვეიცარია), რიჩარდ რიჩარდსონი (შვედეთი), კრის კლაგი (აშშ).

სკელეტონი

ქალები. ტრისტან გეილი (აშშ) — 1.45,11, ლი ენ პერსლი (აშშ) — 1.45,21, ალექს კუმბერი (ბრიტანეთი) — 1.45,37;

ვაჟები. ჯიმ ში (აშშ) — 1.41,96, მარტინ რეტლი (ავსტრია) — 1.42,01, გრეგორ შტაებკი (შვეიცარია) — 1.42,15.

ფრისტაილი

ქალები. მოღული. კარი ტრაა (ნორვეგია) — 25,94, შენონ ბარკე (აშშ) — 25,06, ტაე სატიოია (იაპონია) — 24,85;

საჰაერო. ლისა კამპლანი (ავსტრალია) — 193,47, ვერონკა ბრენერი (კანადა) — 190,02, დეიდრი დიონე (კანადა) — 189,26;

ვაჟები. მოღული. იან ლაჰტელა (ფინეთი) — 27,97, ტრეკის მაიერი (აშშ) — 27,59, რიშარ გაე (საფრანგეთი) — 26,91;

საჰაერო. ალეს ვალენტა (ჩეხეთი) — 257,02, ჯო პეკი (აშშ) — 251,64, ალექსეი გრიშინი (ბელარუსი) — 251,19.

ქარლინგი

ქალები. ბრიტანეთი, შვეიცარია, კანადა
ვაჟები. ნორვეგია, კანადა, შვეიცარია

ჰოკეი

ქალები. კანადა, აშშ, შვედეთი
ვაჟები. კანადა, აშშ, რუსეთი

შენიშვნა: წყვილ ფიგურულ ციგურაობაში ორი ჩემპიონია, ვერცხლის მედლები კი არ გათამაშებულა.

ვაჟთა კომბინირებულ სათხილამურო რბოლში ორი ვერცხლის პრიზია, ბრინჯაო არ გათამაშებულა.

ქვეყნები და ქულები

	ო	ვ	ბ	სულ
გერმანია	12	16	7	35
ნორვეგია	11	7	6	24
აშშ 10	13	11	34	
რუსეთი	6	6	4	16
კანადა	6	3	8	17
საფრანგეთი	4	5	2	11
იტალია	4	4	4	12
ფინეთი	4	2	1	7
ჰოლანდია	3	5	0	8
შვეიცარია	3	2	6	11
ხორვატია	3	1	0	4
ავსტრია	2	4	10	16
ჩინეთი	2	2	4	8
კორეა	2	2	0	4
ესპანეთი	2	0	0	2
ავსტრალია	2	0	0	2
ესტონეთი	1	1	1	3
ბრიტანეთი	1	0	2	3
ჩეხეთი	1	0	1	2
შვედეთი	0	2	4	6
ბულგარეთი	0	1	2	3
იაპონია	0	1	1	2
პოლონეთი	0	1	1	2
ბელარუსი	0	0	1	1
სლოვენია	0	0	1	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

ნორვეგიელმა კეტილ ანდრე ამოდტმა სოლტ ლეიკ სიტში მოპოვებული ორი ოქროს მედლით თავისი ოლიმპიური ჯილდოები ხუთამდე გაზარდა

ოქრო-ვერცხლის კოლექციონერები

სოლტ ლეიკ სიტში ოლე ეინარ ბიორნდალენის ოთხი ოქროს მედლის მოპოვების მერე ბევრნი დაინტერესდნენ, ერთ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ამდენჯერ სხვა თუ ასულა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეო. ამიტომ უინტერესო არ იქნება, თუ გავიხსენებთ ისტორიას.

ბიორნდალენი პირველია და მომავალ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე ერთადერთი იქნება, ვისაც ბიათლონისტ ვაჟთა ამგვარ შეჯიბრებაში ორზე მეტი ოქროს მედალი მოუპოვებია. ეს ნორვეგიელი თოვლის ვარსკვლავი თანამემამულე ბიორნ დელისთან და ამერიკელ ერიკ ჰეიდენთან ერთად ვაჟთა შორის გამონაკლისია, ვინც ზამთრის ოლიმპიური თამაშების ხუთგზის ჩემპიონობას ითვლის. მის კოლექციაშია აგრეთვე ამ თამაშების ერთი ვერცხლის მედალი.

მაგრამ ოლე ეინარ ბიორნდალენს დელისთან და ჰეიდენთან ერთად ასეთი ნადავლით ზამთრის ოლიმპიური თამაშების ყველა ვაჟი სპორტსმენი რომ ჩამოუტოვებია, ქალებისთვის ვერაფერი დაუკლია. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეს მომავალ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე შესძლოს?

მანამდე კი თეთრ ოლიმპიადებზე მედლების სიმრავლით ლიდერობს საბჭოთა მოთხილამურე რაისა სმეტანინა, რომელიც საპატიო კვარცხლბეკის სხვადასხვა საფეხურზე აოჯერ ასულა, აქედან ოთხჯერ — უმაღლესზე. იგი ხუთჯერ მეორე იყო. ამ „ოქრო-ვერცხლში“ კი ერთადერთი ბრინჯაო გამოურევია. მან ამ წარმატებებს ხუთ ოლიმპიურ თამაშებზე: ინსბრუკში, ლეიკ პლესიდში, სარაევოში, კალგარში და ალბერვილში მიაღწია.

სმეტანინას მედლების სათვალავში ერთით ჩამორჩება მისი თანამემამულე ლიუბოვ ეგოროვა. ამ თხილამურებით მორბენალმა ორ ოლიმპიურ თამაშებში (ალბერვილი, ლილეჰამერი) ექვსი ოქროსა და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ასევე ექვსგზის ჩემპიონია რუსი მოციგურავე ლიდია სკობლიკოვა, მაგრამ ამ საქმეში თუ ეგოროვას სანახევროდ მოზიარენი ჰყავს (ესტაფეტებში), მისი წინამორბედი ერთადერთია, ვისაც ექვსივე ოქრო ინდივიდუალურ სახეობებში მოუპოვებია. სკობლიკოვა იყო პირველი სპორტსმენი და ახლაც ასეთ ქალად რჩება, ვინც ოთხი ოქროს მედალი ერთ ზამთრის თამაშებში დაიმსახურა. ეს მოხდა 1964 წელს, ინსბრუკის ოლიმპიადაზე, სადაც მან ყველას აჯობა 500, 1000, 1500 და 5000 მეტრზე ციგურებით რბენაში. მანამდე ამ ქალმა 1960 წელს სკოველის ოლიმპიადაზე ორგზის ჩემპიონობა იზეიმა 1500 და 3000 მეტრზე რბოლაში.

ვაჟთა შორის ყველაზე მეტი მედალი მოიპოვა ბიორნ დელიმ, ვინც ალბერვილისა და ლილეჰამერის თამაშების საპატიო კვარცხლბეკზე რვაჯერ ავიდა, აქედან ხუთჯერ უმაღლეს, ხოლო სამჯერ მეორე საფეხურზე. ერთ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე მეტი მედალი დაიმსახურეს ერიკ ჰეიდენმა, იტალიელმა თხილამურებით მორბენალმა ქალმა მანუელა დი ჩენტამ და მისმა რუსმა კოლეგამ ლარისა ლაზუტინამ.

დი ჩენტა ლილეჰამერის თამაშებზე ხუთჯერ გამოვიდა სტარტზე და ხუთივეჯერ საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა, აქედან ორ-ორჯერ პირველ და მეორე, ერთხელ კი მესამე საფეხურზე.

ლარისა ლაზუტინაც ხუთჯერ გამოვიდა ნაგანოს ოლიმპიურ სარბიელზე და ხუთივეჯერ მეტნაკლები წარმატება იზეიმა. იგი სამგზის ჩემპიონი გახდა და თითო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ დაიმსახურა, რისთვისაც, სხვათა შორის, პრემიის სახით, საერთო ჯამში ნახევარი მილიონი დოლარი ჩაიჯიბა. ამ წარმატებისთვის ეს რიგითი ჯარისქალი ლეიტენანტებში ააღზევეს და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ჯილდოთი — გმირის ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვეს.

ლაზუტინა სოლტ ლეიკ სიტიშიც დიდი იმედებით ჩავიდა, მაგრამ მხოლოდ ორ ვერცხლს შეწვდა, საერთო ჯამში კი შვიდი ოლიმპიური მედალი დაუგროვდა.

ვიგა ბურასაშვილი

ამერიკელებმა სოლტ ლეიკ სიტის თამაშების ემბლემა თექვსმეტი დღით „გააცოცხლეს“, ბოლოს კი მომავალი ტორინოს ოლიმპიადის ვენა ემბლემაც თავლწინ გადავიშალეს და გრანდიოზული ფიიერვერკით დაგვემშვიდობნენ

REUTERS



REUTERS

კანადა

2002 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ჰოკეიში

მარცხნიდან: ტეო ფლერი, ჯო საკიკი, მარიო ლემიე, პოლ კარია, ბრენდან შენაჰანი, სიმონ განიე, ჯო ნუინდაიკი, კრის პრონგერი, ერიკ ლინდროსი, რობ ბლეიკი, ელ მაკინისი, ადამ ფუტი, რაიან სმიტი